საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბოჭდ-ვური სიფცვაა, ფცუიოებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ცვეოა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

მამულის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 6 იანვარი. 2022 წ. №2 (9340) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთის წინააღმდეგ

2

არის თუ არა ევროკავშირი დაშლის პირას?

სრულიად საქართველოს დიდი პატრიარქი 89



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართველი მეცნიერები გულწრფელად ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსს ილია მეორეს დაბადებიდან 89-ე წლისთავს.

44 წელია, რაც ჩვენი დიდი პატრიარქი აღსაყდრებულია ქვეყნის მღვდელმთავრად. რაოდენ სასიხარულოა, რომ მისი ზეობა სასულიერო სფეროში უდიდესი წარმატებებით აღინიშნა, ხალხი შემობრუნდა ეკლესიისკენ. ქვეყანაში 3000-მდე ეკლესია მსახურებს. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ილია მეორეს თავისი გამორჩეული სიტყვა არ ეთქვას. იგი ყველა მოვლენის აქტიური მონაწილეა. მისი ქადაგებები აღიქმება, როგორც სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც სხვადასხვა პრობლემებია გაშუქებული.

ილია მეორის მრავალმხრივობამ მოიცვა ყველა სფერო. თავად პატრიარქი შესანიშნავი კომპოზიტორი, მრავალი საგალობლისა და სხვა მუსიკალური ნაწარმოების ავტორია, მის მიერ შესრულებული ფრესკები ქვეყნის ეკლესია-მონასტრებს ამშვენებს. მას უყურადღებოდ არ რჩება საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო. განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება მეცნიერებისადმი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს დიდ პატრიარქს ილია მეორეს დაბადებიდან 89-ე წლისთავს; უსურვებს წარმატებებს თავის დიდსა და მრავალმხრივ საქმიანობაში. დაე, მრავალჟამიერი სიცოცხლე და ჯანმრთელობა იყოს ჩვენი დიდი პატრიარქის მარადიული თანამგზავრი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მამუკა გოგუჩია:

საკაშვილი ტყუილად არ ამბობს, ჩემი ცოლი ცხოვში უნდა იჯდესო!

3

პაატა ჩხეიძე:

რუსეთმა 1801 წელს ქალაქობრივად გააუქმა საქართველოს სამეფო და სამართალი მოითხოვს, აღდგეს საქართველოს სამეფო!

7

ნონა გაფრინდაშვილის 5-მილიონიანი პარტია

რა ვიცით საქმის შესახებ

2020 წლის 23 ოქტომბერს უმსხვილესმა ამერიკულმა ინტერნეტ-ტელევიზიების ქსელმა, „ნეტფლიქსმა“ გამოუშვა მინისერიალი — „დედოფლის გამბიტი“, რომლის სცენარიც უოლტერ ტევისის 1983 წლის ამავე სახელწოდების რომანს ეფუძნება. სერიალი ეხება პატარა მოჭადრაკე გოგონას, ბეტ ჰარმონის გზას, რომელიც 1950-იან წლებში, ცივი ომის პერიოდში, ერთმანეთის მიყოლებით ამარცხებდა ცნობილ მოჭადრაკეებს.

ბეტ ჰარმონი გამოგონილი პერსონაჟია. უშუალოდ გაფრინდაშვილის შესახებ ცნობა სერიალის დასკვნით ეპიზოდში გვხვდება, როდესაც პერსონაჟზე საუბრისას მოსკოვის საჭადრაკო ტურნირის კომენტატორი აკეთებს რეპლიკას: **„ერთადერთი უჩვეულო რამ მის შემთხვევაში სქესია, თუმცა ის ერთადერთი არ არის რუსეთში. არსებობს ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც მსოფლიოს ქალი ჩემპიონია, თუმცა ის არასდროს შეხვედრია მამაკაც მოთამაშეებს“.**

დავის საგნად სწორედ ეს რეპლიკა იქცა. გაფრინდაშვილმა, რომლის ინტერესებსაც ქართული იურიდიული კომპანია BLB ამერიკელ კოლეგებთან ერთად იცავს, „ნეტფლიქსს“ სასამართლოში უჩივლა. ქართული მხარის ინიციატივით, დავა განიხილება კალიფორნიის სასამართლოში.

დავა იმდენად რეზონანსული გახდა, რომ გარდა ქართული მედიისა, მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში არაერთი სტატია თუ სიუჟეტი მიეძღვნა.

„ნიუ იორკ ტაიმსთან“ ინტერვიუში ლეგენდარული მოჭადრაკე აღნიშნავს: **„ის, რომ ქალი მოჭადრაკეები მიღებული არიან საჭადრაკო საზოგადოებაში და ისინი დიდოსტატები ხდებიან, ჩემი მემკვიდრეობის ნაწილია. ეს არის ბრძოლა, რომელიც მე დავიწყე და ბრძოლა, რომელსაც მე ვაგრძელებ“.**

პირველადი ინფორმაციით, სასამართლო პროცესი 2022 წლის 24 იანვარსაა ჩანიშნული. ჯერჯერობით უცნობია, პროცესი დისტანციურად გაიმართება, თუ მხარეები შეძლებენ სასამართლოში გამოცხადებას.

იხ. 8 გვ.

აკადემიკოსი ლეო ბოკერია:

კოვიდგადატანილებმა საათში 15 წუთის განმავლობაში ხმამაღლა იკითხეთ!

ადამიანებისთვის, რომლებმაც კოვიდ 19 გადაიტანეს, სასარგებლოა ყოველ საათში ერთხელ, 15 წუთის განმავლობაში ხმამაღალი კითხვა, რათა სასუნთქი მუსკულატურა მალე აღდგეს.

ამის შესახებ რუსეთში მოღვაწე ცნობილმა კარდიოლოგმა, აკადემიკოსმა ლეო ბოკერიამ განაცხადა.

„ძალიან ბევრ ჩემს მეგობარსა და ნაცნობს, რომლებიც დაინფიცირდნენ, ვურჩიე ყოველდღე 15 წუთის განმავლობაში ნებისმიერი ტექსტის ხმამაღლა კითხვა, საათში 15 წუთის განმავლობაში,“ — ბრძანა ლეო ბოკერიამ. მისი თქმით, კოვიდმოხდილი ადამიანებისთვის აუცილებელია სასუნთქი მუსკულატურის კარგი მუშაობის აღდგენა, ამისთვის კი ხმამაღლა კითხვის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია.

„შეგიძლიათ თუნდაც მაცივრის აღწერა წაიკითხოთ,“ — ასეთია რუსეთის მთავარი კარდიოქირურგის და ამ დარგში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის რჩევა.

პოსტკოვიდური სინდრომის დაძლევის მეთოდების შესახებ რეკომენდაციებს არაერთი ექიმი გასცემს. მათი მთავარი რჩევაა, ვირუსის გადატანის შემდეგ ადამიანმა რაც შეიძლება დიდი დრო გატაროს სუფთა ჰაერზე და იყოს ფიზიკურად აქტიური“.

ლევან იოსელიანი: სააკაშვილის ეკონომიკურ გეგმაზე საუბარი სასაცილოა!

— ზოგადად, სერიოზულად არ მეჩვენება ასეთი რაღაცები — როდესაც ერთი კვირით ადრე, ადამიანი წამების მსხვერპლი იყო, მერე ცუდადაა, ახლა გეგმაზე მუშაობს... ჩემი აზრით, ძალიან არათანმიმდევრულია ეს ყველაფერი. ამიტომ, ამას სერიოზულად არ აღვიქვამ, — აცხადებს ლევან იოსელიანი.

პატიმრობაში მყოფი ექსპრეზიდენტი, მსჯავრდებული და ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი ეკონომიკურ გეგმაზე მუშაობს. როგორც მისი თანაგუნდელები განმარტავენ, ეს იქნება ექსპრეზიდენტის ხედვა, თუ რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის ეკონომიკის აღსადგენად. ცოტა ხნის წინ, საპატიმროში, მასთან დეპუტატი რომან გოცირიძე შევიდა. როგორც მან საპატიმროში შესვლამდე ჟურნალისტებთან თქვა, სააკაშვილის მიერ ეკონომიკის საკითხზე დაწერილი გეგმის განხორციელება მაშინ დაიწყება, როდესაც ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვა.

დავით ზილფიმიანი: ნუ დავამსგავსეთ პარლამენტი „მაკდრაივს“!..

დავით ზილფიმიანი მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ეხმაურება. „ევროპელი სოციალისტების“ წევრი აცხადებს, რომ კომისია პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დადასტურებულ წამების ფაქტებზე უნდა შეიქმნას.

„წამების ფაქტებზე კომისიის შექმნა უბრალოდ აუცილებელია და ეს უნდა დავიწყოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მოღვაწეობის პერიოდიდან. კერძოდ, წამების იმ ასობით ათასი ფაქტით, რაც განხორციელდა. დღემდე ეს საკითხი ჰაერშია და არავის შეუსწავლია და უნდა შევასაოთ. ეს დროზე უნდა გავაკეთოთ და მხარს დავუჭერ ამ კომისიის შექმნას. ძალიან არასერიოზულია ეს ყველაფერი, იმიტომ რომ, ნუ დავამსგავსეთ პარლამენტი „მაკდრაივს“, რომ შეკვეთა მოვიდა და უცებ უკანა თათებზე დავდგეთ და შევქმნათ კომისია“.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, რომ საპარლამენტო ბოიკოტს შეწყვეტენ, თუ მიხეილ სააკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისია შეიქმნება. კომისიის შექმნის შესახებ პროექტის ინიცირების უფლება აქვს, მათ შორის, პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ 1/5-ს ანუ 30 დეპუტატს, ხოლო შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის 1/3, შესაბამისად, საჭიროა 50 დეპუტატის მხარდაჭერა.

პირწავარდნილი მექრთამისა და არაკაცის ვნებანი

ირაკლი ლატარია: სამი ათას დოლარამდე რომ მივუტანო ახლა ხუხაშვილს, ზუსტად ერთ საათში დაწერს, ჩემი პროფილი გატეხესო

ექსპერტი ირაკლი ლატარია სოციალურ ქსელში „ქართული ოცნების თავმჯდომარის“ ირაკლი კობახიძის მისამართით გია ხუხაშვილის Facebook პოსტს გამოეხმაურა

„სადღაც სამი ათასს დოლარამდე რომ მივუტანო ახლა ხუხაშვილს, ზუსტად ერთ საათში დაწერს, ჩემი პროფილი გატეხესო და ვიღაცამ რაღაცები დაწერაო და ბოლოში ირაკლი კობახიძეს „დაგულავს“ კიდეც...

ამით ყველაფერი ვთქვი..“ — წერს ლატარია.

გია ხუხაშვილმა ირაკლი კობახიძის შესახებ „ფეისბუქზე“ შეურაცხმყოფელი პოსტი გამოაქვეყნა.

დავით ქართველიშვილი: გია ხუხაშვილო, ღვარძლს რომ ვერ იკავებ, ხომ არ ტეხავს?!

ირაკლი კობახიძე მმართველი პარტიის ლიდერია და ამ პოსტზე მორგებულ ფუნქციას მშვენივრად უმკლავდება და ნაცებსაც უსრულებს, მათ მეკავშირეებს და ოცნებაზე დაბოღმილ ამა თუ იმ ფინანსური ნაკადების კალაპოტებში ვერმოხვედრილ ფულის მონებსაც.

„რისი ექსპერტი ხარო, უკითხავთ ერთხელ - და ძალიან რთული შეკითხვა დამისვითო, დაფიქრებულა. არც ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით შემხვედრია სადმე, არა და ანალიტიკურ დანაყოფებში 2002 წლიდან ვმუშაობ და მეცოდინებოდა. აი მესამე ნიშა ნამდვილად ათვისებული აქვს — დაბოღმილ ვერცხლისმოყვარე ჭორიკანების. 2013 წლისთვის წარმოსახვაში ოქროს პირამიდა რომ გექნება უკვე აგებული და საპნის ბუშტივით რომ გაგისკდება, მაგრამ ვერშემდგარი „გევურქ გევურქოვის“ სინდრომი და არშემდგარი „სახლების მეპატრონის“ ფანტომური ტკივილები რომ გაწუხებს დღემდე — ღვარძლს რომ ვერ იკავებ და უსაქმური ჭორიკანასავით „პოლიტოლოგობ“, ცოტა არ იყოს ტეხავს...

კანონის უგენაესობის შესახებ დავა, ლგბტ თემგე ზემოქმედება, მიგრაციის შეგღუდვა — აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკა ფუნდამენტურ ევროპულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. სწორედ ამიტომ ამ ბოლო დროს ევროკავშირში მოსალოდნელი განხეთქილების შესახებ ალაპარაკდნენ. რამდენად რეალურია ეს საფრთხე? ამ კითხვაგე პასუხის გაცემას DEUTSCHE WELLE შეეცადა.

აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთის წინააღმდეგ,

არის თუ არა ევროკავშირი დაშლის პირას?

რა ხდება?

ცოტა ხნის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა თქვა, რომ ევროკავშირის ამჟამინდელი პოლიტიკური პრობლემები აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან „ვიქტორ ორბანის პრობლემა არ არის (...), ეს რაღაც უფრო ღრმაა“. მან ისაუბრა ევროპაში წარმოქმნილ ფუნდამენტურ „განხეთქილებაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცს ვარშავაში ბოლო ვიზიტის დროს, ეს დიაგნოზი, როგორც ჩანს, ხელახლა დადასტურდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს პოლონეთის დედაქალაქში „თბილად“ დახვდნენ პლაკატებით, რომლებზეც ანგელა მერკელი და სხვა გერმანელი პოლიტიკოსები ჰიტლერსა და ნაცისტური რეჟიმის პროპაგანდის მინისტრ გებელსთან ერთად იყვნენ გამოსახული. ამავდროულად, ვარშავა ბერლინს „უკანონობაში“ ადანაშაულებს, რადგან გერმანიის ხელისუფლებას, სავარაუდოდ, არ სურს პოლონეთისთვის ომის რეპარაციის (ომით მიყენებული ზარალის საკომპენსაციო თანხა, რომელსაც ომის დამწყებად შერაცხილი სახელმწიფო გამარჯვებულ ქვეყანას უხდის) ანაზღაურება. ამას დასავლეთში აშკარა და დაუფარავ პროვოკაციად მიიჩნევენ.

რამდენად ძლიერია ანტილიბერალური ფრონტი?

როდესაც 2021 წლის ივლისში სლოვენიის პრემიერმინისტრი, პოპულისტი იანეზ იანშა როტაციის პრინციპით ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი გახდა, ზოგიერთი დამკვირვებელი კარგს არაფერს ელოდა. იანშა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს თავის მეგობარს უწოდებს, საჯაროდ შეურაცხყოფს ჟურნალისტებს და უყვარს პროვოკაციები. მაგალითად, ოქტომბერში მან Twitter-ის საკუთარ გვერდზე ევროპარლამენტის 13 წევრს „სოროსის თოჯინები“ უწოდა.

ევროკავშირსა და უნგრეთს შორის სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის შემცველი კანონის გამო გაჩაღებულ კამათში იანშა ორბანის მხარეს დადგა. იმავენაირად მოიქცა სლოვენიის პრემიერ-მინისტრი, როდესაც ბრიუსელსა და ვარშავას შორის პოლონეთის ხელისუფლების მიერ ქვეყნის შიდა კანონმდებლობის უზენაესობის აღიარებასთან დაკავშირებით უთანხმოება იყო, „ვფიქრობ, რომ ამ ალიანსის მთელი პოზიცია ძალიან ანტიევროპულია. ეს მიუთითებს ერთგვარი ახალი რკინის ფარდის გაჩენაზე“, — ამბობს ლუბლიანას უნივერსიტეტის მედიაკვლევების პროფესორი მარკო მილოსავლევიჩი. თუმცა იანშის უმცირესობის მთავრობას სლოვენიაში არც თუ ისე მყარი პოზიციები აქვს. გაზაფხულზე ქვეყანაში გაიმართება არჩევნები, რომელშიც გამარჯვების კარგი შანსი აქვს ოპოზიციას.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩატარებულმა ბოლო არჩევნებმაც აჩვენა, რომ პოპულისტების ხელისუფლებიდან ჩამოშორება შესაძლებელია. აქ პრემიერ-მინისტრ ანდრეი ბაბიშის მთავრობა პროევროპულმა კოალიციამ შეცვალა. იგივე მოხდა ბულგარეთშიც, ოღონდ მხოლოდ მესამე ცდაზე. Carnegie Europe-ის პოლიტიკური ექსპერტი შტეფან ლენე დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის შიდა კრიზისი უმეტესწილად პოლონეთსა და უნგრეთთანაა დაკავშირებული და არ არის დამახასიათებელი მთელი რეგიონისთვის. **„ამ კონკრეტული და რეგულარულად გამწვავებადი სიტუაციების გარდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვითარების გაუარესებაზე საუბარი არ შეიძლება“,** — აღნიშნავს ის.

უნგრეთი ლიბერალიზმთან ბრძოლის ავანგარდში

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ დეკემბერში გამართულ „დემოკრატიის სამიტზე“ ევროკავშირის წევრი ერთადერთი ქვეყანა არ იყო მიწვეული და ესაა უნგრეთი. ჯო ბაიდენმა ის მსოფლიოს გარიყულ სახელმწიფოებს შორისაც კი დაასახელა. სწორედ ამ შეფასებას იყენებს ვიქტორ ორბანის წინააღმდეგ ოპოზიცია, რომელიც ქვეყანაში ახლახან ჩამოყალიბდა. მოქმედი პრემიერ-მინისტრის კონკურენტმა, პეტერ მარკი-ზაიმ განაცხადა, რომ „საერთაშორისო საზოგადოება ორბანს ისე ექცევა, როგორც ვირუსს“. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ისიც თქვა, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ასეთი შეფასებისთვის დიდი ხნის განმავლობაში იმუშავა, რადგან ჩინეთთან, რუსეთსა და აზერბაიჯანთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობებისკენ მიისწრაფვოდა.

ორბანი აღიარებს მმართველობის ფორმას, რომელსაც ის „არალიბერალურ დემოკრატიას“ უწოდებს. ის ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების წინააღმდეგ აქტიურად იბრძვის. **„ჩვენ წარუმატებელი ლიბერალური დემოკრატია ჩავანაცვლეთ 21-ე საუკუნის ქრისტიანული დემოკრატიით“, რომელიც ტრადიციასა და უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული,** — განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა.

იხ. 8 გვ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრი მამუკა გობეჩია სკანდალურ ფაქტებს ასაჯაროვებს. კერძოდ, როგორ მიისაკუთრეს „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის და მისი ვაჟის გიორგი აბაშიძის კუთვნილი ქონება. როგორც გობეჩია ამბობს, სააკაშვილმა ამ ქონების დიდი რაოდენობა თავის სიმამრს გადასცა, რომელიც შემდეგ ამ ქონებას ყიდდა. მისი თქმით, პროკურატურის დაინტერესების შემთხვევაში დაკარგული ქონების პოვნა შესაძლებელია.

სააკაშვილმა ასლან აბაშიძის ქონების დიდი ნაწილი თავის სიმამრს გადასცა, რომელიც შემდგომ ამ ქონებას ყიდდა



მამუკა გობეჩია: სააკაშვილი ჯუილად არ ამბობს, ჩემი ცოლი ციხეში უნდა იჯდესო!

— ბატონო მამუკა, რა მოხდა 2003 წელს, რა გავლენა იქონია რუსეთმა ხელისუფლების მაშინდელ ცვლილებაზე?

— 2003 წელს ვიყავი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიყავი არც ერთი პარტიის წევრი, **ედუარდ შევარდნაძემ** დამნიშნა საარჩევნო კომისიის წევრად. ჩემი კვალიფიკაცია იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კანონის ფარგლებში მემოქმედა. მაშინ საშინელ ბულინგს განვიცდიდი „დემოკრატებისგან“, თითქმის ყველანი ჩემი ნაცნობი იყო, გარდა **მიხეილ სააკაშვილისა**. ვიცოდი მისი ფსიქოტიპი და ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ეს ძალა არ მოსულიყო ქვეყანაში. სერიოზულ წინააღმდეგობას ვუწევდი. ჩემზე გადაიღეს ე.წ. კლიპი — „შენ მომავალ არჩევნებს ციხეში შეხვდები“. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ტრიალებდა ეს კლიპი, თან ისე, რომ ჩემი სახე არ იყო დაფარული.

— რა იყო მიზეზი, კლიპიც რომ კი მოგიძღვნათ მაშინდელმა ოპოზიციამ და იყავით ბულინგის მსხვერპლი?

— ვითომ ვაყალბებდი არჩევნებს. კარგად ვიცოდი „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის მუშაობის სისტემა. ყველაფერი ის, რაც კეთდებოდა ე.წ. შავი პიარის მეშვეობით და რა ქვედა დინებები იყო. ამიტომ შევხვდი საქართველოში ვიზიტად მყოფ მაკკეინს. მან დამიდასტურა, რომ ეს ყველაფერი იყო არა ხალხის ნების გამოხატულება, არამედ გარკვეული პოლიტიკური ძალების გამოხატულება. სხვათა შორის, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვხვდებოდი მაკკეინს, გვერდით ოთახში იჯდა **სანდრა რულოვსი**, რომელიც გვისმენდა. ფარულ ჩანაწერს აკეთებდა. ეს მოხდა რესტორან „პურის სახლში“.

— რაზე ესაუბრეთ მაშინ მაკკეინს?

— მე ვუთხარი, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო თითოეულ თავდასხმაზე გაეცა პასუხი. ეს არ მოეწონა ბატონ მაკკეინს და ჩვენს შორის რამდენიმეწუთიანი კამათიც შედგა.

— კამათი რამ გამოიწვია?

— შეხვედრა შედგა თავად მაკკეინის ინიციატივით. მას სურდა გაეგო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რაც მაშინ ვითარდებოდა, ნიადაგი მოსინჯა — ვუჭერდით თუ არა მხარს „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლას ხელისუფლებაში, რადგან მთელი საქართველო გაოგნებული იყო ამ გიჟებზე. მაკკეინი უფრო იხრებოდა ბურჯანაძე-დემოკრატების მხარეს, რომლის შემდგენლობაში მეორე ნომრად იყო ბატონი **ზურაბ ჟვანია**.

როდესაც ჩვენ შორის შედგა საუბარი, ვუთხარი, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდული მოძრაობა „კმარა“ და ა.შ. პირდაპირ ფინანსდებიან სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, მას არ მოეწონა და მითხრა: კარგით, მაშინ ევროკავშირზე რას იტყვითო, რაზეც ვუპასუხე, რომ ევროკავშირი არის თქვენი დანამატი და რასაც თქვენ იტყვით, იმას გააკეთებს-თქო. ამ დროს ინტენსიური მოლაპარაკება მიდიოდა ედუარდ შევარდნაძესა და ე.წ. ჟვანიას ჯგუფს შორის, რომ ჟვანია მომხვდარიყო პარლამენტში. იცით, რომ ბურჯანაძემ ვერ გაიმარჯვა ქუთაისში და იქ არჩევნები 2 საათით გადაწიეს. ნაცვლად იმისა, რომ 8 საათზე დახურულიყო უბანი, 10 საათამდე გადაწიეს, რისი კატეგორიული წინააღმდეგი მარტო მე ვიყავი.

— თუმცა, „ვარდების რევოლუცია“ მაინც შედგა...

— დიახ. რუსების ხელი ერია ამ პროცესებში და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებაც გვქონდა. მე თვალყურს ვადევნებდი მოვლენების განვითარებას. 6 მაისს, როდესაც აჭარიდან გაიქცა ასლან აბაშიძე, მაშინ ტელეკომპანია „202“-ის სტუდიაში ვიყავი. შალვა რამიშვილს ვთხოვე, რომ დაეთმოთ ჩემთვის ეთერი, რადგან მაბრალებდნენ იმას, რაც არ გამიკეთებია. მაშინ იქ შემოვიდნენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები და თქვეს, რომ აბაშიძე გაიქცაო.

— რომ დავაზუსტოთ, ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ვინ შემოვიდა?

— დავით ტყეშელაშვილი, დავით კირკიტაძე და გარეთ ელოდებოდნენ კიდევ ვიღაცები. მათ თქვეს — „ასლანმა დატოვა აჭარა, ჩვენ საქართველო გავაერთიანეთ“. მაშინ ვუთხარი, რომ კი არ გააერთიანეთ საქართველო, არამედ თქვენ დაღუპავთ საქართველოს-თქო. ამის შემდეგ ვითარდება საინტერესო მოვლენები. ჩემი უახლოესი მეგობარი **ზურაბ ანდრიაძე,** რომელიც მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში და ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ დეპარტამენტს, რომელიც შემდეგ სიპ-ად გამოეყო, მის მოვალეობაში შედიოდა კონფისკაციის შედეგად დაგროვილი ქონების ბალანსზე აღება, შემდეგ აუქციონის წესით გასხვისება და მიღებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა. 2004 წლის აგვისტო-სექტემბერში საჭირო გახდა აბაშიძის მიერ დაგროვილი ქონების აღწერა და მიღება, ანუ ასლან აბაშიძის ქონების კონფისკაცია, ბალანსზე აღება, აუქციონის წესით გასხვისება და მიღებული თანხით ბიუჯეტის შევსება. ამ სამუშაოების შესასრულებლად ზურაბ ანდრიაძემ აჭარაში მიავლინა მისი მოადგილე **აკაკი ჭოღოშვილი**.

— ამის შემდეგ როგორ განვითარდა პროცესები?

— ორ კვირაში ჩამოვიდა აკაკი ჭოღოშვილი და ეუბნება ზურას, რომ ქონების მხოლოდ ნაწილი ვნახე, ქონების დიდი ნაწილი ვერ ვნახეო. უთხრა, რომ საჭირო იქნება თქვენი ჩარევა, რადგან ძალიან მძიმე საუბარი მქონდა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის **ლევან ვარშალომიძის** წარმომადგენლებთანო. ამიტომ, რამდენიმე დღეში აჭარაში გაემგზავრა ზურაბ ანდრიაძე, რომ მოეკითხა, რა ხდებოდა. ქონების ჩამონათვალი ჰქონდა და თვალით ხომ უნდა ენახა, ბალანსზე რა უნდა აეღო, რომ შემდეგ შესაბამისი პროცედურა განვითარებულიყო. ადგილზე რომ ჩავიდა, მოიკითხა ეს ქონება და ვერ იპოვა.

ამის შემდეგ შეხვდა ლევან ვარშალომიძეს და ესაუბრა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც პირდაპირ უთხრა — „თავი დაანებე. ფეხებზე დაიკიდე, შენს ბალანსზე აიყვანე რაც ამ ჩამონათვალშია და დანარჩენს ჩვენ მივხედავთ“, რაზეც ზურამ უთხრა, რომ 100 კაცი გყავთ დაჭერილი და მე ასეთი რამ რომ გავაკეთო, თავისთავად დამიჭერთო. ჯერ ერთი, რომ არაკანონიერია, რადგან მატერიალურ-ტექნიკურმა დათვალიერებამ შედეგი არ მომცა და რა უნდა ავიყვანო ბალანსზეო? ამაზე მოუვიდათ კამათი და საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელი მოუქნია ვარშალომიძეს, აგინა და წამოვიდა უკან.

ეს არ იყო მარტოოდენ აბაშიძის ქონება. გარკვეული ნაწილი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ნაწილი კი აბაშიძის კუთვნილება. ეს კატარღები სასაზღვრო პოლიციისთვის უნდოდა, აბა რაში სჭირდებოდა 20 ცალი სწრაფმავალი კატარღა? დიდი ალბათობით, აქ საუბარია მილიარდ ნახევარი დოლარის ღირებულების ქონებაზე და კიდევ რამდენია გატანილი არავინ იცის. სააკაშვილმა ტყუილად კი არ თქვა, რომ ჩემს გვერდით ჩემი ცოლი უნდა იჯდესო. ეს ისეთი იდიოტია, კი ვერ ფიქრობს, რა თქვა. ის ადამიანი არ არის, არასოდეს მას ადამიანად არ ვთვლიდი!

კარგად მახსოვს, ეს იყო ხუთშაბათი დღე. დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა და რა გავაკეთო არ ვიცი. მაშინ ხომ გახსოვთ როგორი ვითარება იყო, სამართალდამცავ სტრუქტურებში იყვნენ როგორც ყოფილი, ისე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები. ზურა ვერელი იყო, როგორც ჩანს, მისი ნაცნობი მუშაობდა იმ სისტემაში და მან გააფრთხილა, რომ ორშაბათს არ მისულიყო სამსახურში, დაჭერას გიპირებენ და ტელევიზორში გამოგაჭენებენ, როგორც გამფლანგველსო. ზურამ მოახერხა, რომ ერთი ხელჩანთით დაეტოვებინა საქართველო და წავიდა ქვეყნიდან. აზერბაიჯანში შევხვდი მას, იქ მელაპარაკა ყველაფერი და საკუთარი ხელით დაწერა ფურცელზე იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც დაიკარგა. 2014 წელს ზურა მე ჩამოვიყვანე საქართველოში.

— რაც შეეხება ქონებას, რომელიც ვერ აღმოაჩინეს, შეგიძლიათ, გვითხრათ მაინც რა ქონებაზეა ლაპარაკი?

— ეს არის გებელსის ნაქონი წითელი „მერსედესი“. 2 „ლამბორჯინი“, რომელიც გიორგი აბაშიძის კუთვნილება იყო, ასევე გიორგის მოტოციკლეტები. 5 ცალი ნახევრად ბრონირებული შავი ფერის „მერსედესი“, შემოიტანა დანიურმა ფირმამ, თითოეულის ღირებულება იყო 150 ათასი დოლარი, სპეც-შეკვეთა იყო, მაგრამ დოკუმენტები არ არსებობს. შემდეგ ამ „მერსედესით“ მოძრაობდა ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** და ბატონი **ირაკლი კოდუა**. რამდენიმე მანქანის კვალი ქრება. 18 ცალი შავი და კრემისფერი ამერიკული „ჰამერი“, თავისი მარაგნაწილებით. მე მახსოვს, როგორ დადიოდა ასლან აბაშიძე „ჰამერებით“ იმ ტერიტორიაზე, სადაც იყო ჰამერების საამქრო, 2-კაციანი ფრანგული ვერტმფრენები, ასაწყობი საამქროთი — 12 აწყობილი და 50 ცალზე მარაგნაწილები ყუთებში შეფუთული იდო აეროპორტის ტერიტორიაზე. საბუთებიც უნდა ყოფილიყო აეროპორტის ტერიტორიაზე, მაგრამ რომ მოიკითხა, ვერ ნახა. 6-კაციანი ბიზნეს-თვითმფრინავი „ჯეტა“, 10-12 აწყობილი მასალა, 50-60 ცალზე ასაწყობი მასალებით და ძრავებით. ამ ამერიკულ თვითმფრინავებს აწყობდა გერმანელი სპეციალისტი. ასევე დაკარგულია საზღვრო დაცვის 5 ცალი კატარღა. მომცრო ზომის 4 გემი. ცხენსაშენი თავისი გერმანული ცხენებით რამდენიმე მილიონის ქონებაა.

იხ. 4 გვ.

მეცნიერებაში ცნობილია „ბაზის“ (**Bombus**) 300-მდე სახეობა.

კლასიფიკაცია:

ტიპი – ფეხსახსრიანები
კლასი – მწერები
რიგი – სიფრიფანაფრთიანები
ოჯახი – ფუტკრისებრნი
გვარი – ბაზი

საქართველოში „ბაზის“ შემოყვანა არ უნდა დავუშვათ!

ბაზის მოშინაურება დაიწყო მე-19 საუკუნიდან და მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი ბაზის სამრეწველო გამრავლება. ბაზის უამრავი სახეობებიდან სამრეწველო ხასიათს ატარებს Bombus terrestris. რუსეთში 1994 წლიდან დაიწყეს ამ სახეობის გამოყვანება სათბურებში, რომელიც შემოყვანილი იქნა ისრაელიდან, ბელგიიდან და ჰოლანდიიდან.

2008 წელს აჭარაში სასათბურე მეურნეობაში შემოყვანილი იყო მწერი „ბაზი“ დამტვერიანებით მოსავლიანობის გაზრდის მიზნით.

ერთ ჰექტარ ფართობზე იდგმება 8-10 ბაზის სკა. ოპტიმალური პირობების დროს ტემპერატურა – 20-24 გრადუსი, ხოლო ტენიანობა 40-70% იყო. სკის ექსპლუატაციის ვადა შეადგენდა 7-10 კვირას. 8 კვირის შემდეგ თანდათანობით ხდება სკების ცვლა, რაც ბაზის სიკვდილს უკავშირდება.

ქართულ ფუტკარს, ყველა სხვა ფუტკართან და „ბაზთან“ შედარებით, აქვს გრძელი ხორთუმი, რის გამოც მსოფლიოში ძლიერ დამამტვერიანებლად ითვლება.

ფუტკრით დამტვერიანებით სათბურში მოსავლიანობა იზრდება – 40-50%, ხოლო ბუნებრივ პირობებში 80-150%-ით, მაშინ, როცა „ბაზის“ დამტვერიანებით მოსავლიანობა იზრდება 15-25%-ით.

„ბაზის“ შემოყვანა საქართველოში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მთელი რიგი მიზეზების გამო:

1. „ბაზი“ განიცდის შიმშილს ზაფხულის ბოლოს შემოდგომის დასაწყისში, როცა თაფლოვანები ყვავილობას თითქმის ამთავრებენ. ამ პერიოდში „ბაზი“ ვეღარ აგროვებს საკვებს და დრო აქვს დაზამთრებაში შესვლის, ის იწყებს საკვების ძებნას, შედის სკაში, რა დროსაც ხდება ფუტკარზე თავდასხმა და ქურდობა. ისინი იღებენ თაფლს და ხოცავენ ფუტკარს.

2. „ბაზი“ ავადდება ასკოფეროზითა და სპეციალური დაავადება „კრიტიზოზით“ (Crichidia bombi). პარალელურად ხვდება ნაწლავებში და გამოდის მის ექსკრემენტებთან ერთად, რითიც შემდეგ, ავადდება როგორც გარეული მწერები, ასევე ფუტკარი. (Аскосфероз шмелей – Мальцева Б.М. – Ветеринария Реферативний журнал (2002);

3. 2008 წელს ავსტრალიის მთავრობამ კატეგორიულად აკრძალა ბაზის შემოყვანა ქვეყანაში იმ მიზეზით, რომ ის წარმოადგენს ველური სახეობებისთვის საშიშროებას, რაც ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის განადგურებას იწვევს. (ვ. ტერესტრის მასალები – „ბაზი“ – როგორც დამნაშავე).

4. რიაზანის საკავშირო ინსტიტუტში (რიბნოე) 1969-1971 წლებში იონიკის დასამტვერიანებლად აშშ-დან შემოყვანილი იყო „ბაზი“. ცდებით დადგინდა, რომ ქართული ჯიშის ფუტკრის დამტვერიანებით უფრო მაღალ მოსავალს ღებულობდნენ, ვიდრე „ბაზით“ დამტვერიანებით.

მთელი რიგი მეცნიერების: რუმინეთის – **პ. კოსტრუისი** (1964), დაღესტნის – **ვ.ა. ხომაჩოვის** და **ომაროვის** (1965), ავსტრალიის – **დ.ფ. ლენგრიკის** და **პ.ტ. ვენკისის** (1967), იუგოსლავიის მებაღე-მევენახეობის ინსტიტუტის (1967), ამერიკის – **კონ ჰეინი** (1969) და სხვების მიერ წლების განმავლობაში ისწავლებოდა მწერების დაფრენის აღრიცხვა მოსავლიანობის გასაზრდელად. ისინი კი დამტვერვაში უპირატესობას ფუტკარს ანიჭებენ.

საზღვარგარეთის ქვეყნების მონაცემებით (იტალია, 2007, ავსტრალია, 2008) „ბაზის“ გამოყენება წარმოადგენს საშიშროებას ადგილობრივი ფაუნისა და ფლორისთვის. მაგ. 2008 წლიდან ავსტრალიაში აკრძალულია ცოცხალი „ბაზის“ შეყვანა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში „ბაზის“ შემოყვანა საშიშროებას უქმნის ქართული ფუტკრის ხალასი ჯიშისა და მისი პოპულაციების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ცვლილებებს.

ლიზა ბალიაშვილი,
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფუტკრის საკვები ბაზის სპეციალისტი;

ტატა მათნაძე,
ფუტკრის დაავადების სპეციალისტი, ვეტექიმი;

ნინო დეკანოიძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოქტორანტი.

სამშენებლო სექტორმა 2021 წლის კრიზისიდან თავი დაიძვრინა

სამშენებლო ბიზნესი პანდემიისგან მიღებული ზარალის აღდგენას წელ-ნელა ახერხებს. მართალია, ამ დროისთვის არსებული მაჩვენებელი არც ისე სახარბიელოა, თუმცა სფეროს წარმომადგენლები უძრავი ქონების ტენდენციას მაინც დადებითად აფასებენ. ყოველ შემთხვევაში, უკან არის მოტოვებული ის დრო, როდესაც დეველოპერები გაკოტრების საფრთხეზე საუბრობდნენ.

ამ ეტაპზე მთავარი პრობლემა ისაა, რომ სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, პრაქტიკულად, ნულოვან დონეზეა. შედარებით მცირე და საშუალო დონის პროექტები, რომლებიც 2020 წელს უნდა განხორციელებულიყო, სრულად შესრულდა. დიდ პროექტებში თანხის ჩადებისგან კი ყველა თავს იკავებს. ამან მომავალში, შესაძლოა, პრობლემები გააღრმავოს.

სწორედ ინვესტიციების ნაკლებობაზე საუბრობს საქართველოს მენაშენთა ასოციაციის ხელმძღვანელი და კომპანია „არსის“ დამფუძნებელი **ირაკლი როსტომაშვილი**.

„ბოლო პერიოდში პანდემია ჩვენს სექტორში არ იგრძნობა, მობილობა აღდგენილია და რაიმე დამაბრკოლებელი რეგულაცია არ არის ქვეყანაში. ყველაზე მეტი პრობლემა არის ინვესტიციები, რომლებიც პრაქტიკულად ნულის ტოლია. მიუხედავად ამისა, უძრავი ქონების ბაზარზე ზრდა ნამდვილად არის, 2020 წელს ვერც შევადარებთ, რადგან ეკონომიკა ჩაკეტილი იყო.

2021 წელს გაიყიდა ის ბინები, რომელთა რეალიზაცია შარშან იგეგმებოდა, უბრალოდ, ელოდნენ კონკრეტულ დროს. ეს არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა გამოსწორდა, თუმცა უკეთესობა არის“, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა „კომერსანტთან“ და დასძინა, რომ **უძრავი ქონების ბაზარზე განსაკუთრებით დადებითად იმოქმედა შეღავათებმა, რომლებიც დეველოპერულ სექტორს პანდემიურ პერიოდში დაუწესდა. თავის დროზე, მთავრობის ამ ინიციატივამ სექტორში მაშველი რგოლის ფუნქცია შეასრულა.**

დადებით ტენდენციებზე გამახვილა ყურადღება ბიზნესმენმა **გეგი ქელბაქიანმაც**. მისი აზრით, სექტორმა სხვა ბიზნესებთან შედარებით ურთულესი გამოწვევები უკეთესად გადალახა.

„პლუსი იყო ის, რომ სამშენებლო სექტორი არ გაჩერებულა და მუშაობის შესაძლებლობა გვქონდა. თუ შევადარებთ იმ სექტორებს, რომლებიც მთლიანად დაიხურა, ბუნებრივია, ჩვენ უკეთეს სიტუაციაში ვიყავით. მაგრამ პანდემიამ უარყოფითი გავლენა ჩვენზეც იქონია“, – აღნიშნა ბიზნესმენმა.

რაც შეეხება საგარეო გამოწვევებს, სამშენებლო კომპანია NCC-ის გენერალური დირექტორი პირველ ადგილზე გლობალურ ინფლაციას ასახელებს.

„გლობალურმა ინფლაციამ პროდუქციაზე ფასები გაზარდა. დღეს ევროსა და დოლარში მასალების ღირებულება გაზრდილია 20-30%-ით, რასაც ლარის კურსით გამოწვეული გაძვირება დაემატა და, რა თქმა უნდა, ამან ნეგატიური გავლენა იქონია. შესაბამისად, რაც უფრო მეტი კონტრაქტი ჰქონდა მოგებული კომპანიას პანდემიამდე, მით უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. საუბარია ისეთ პროექტებზე, რომლებიც იმპორტულ მასალებზეა დამოკიდებული“, – განაცხადა ქელბაქიანმა და დასძინა, რომ **მიუხედავად ამისა დეველოპერებმა მნიშვნელოვან გამოწვევებს თავი მაინც კარგად გაართვეს.**

ეკა ბაძრაძე

9 წელიწადში საქართველოს საგარეო ვალი 393 პროცენტით გაიზარდა

საგარეო ვალის ზრდა, ინფლაცია, რეფინანსირების განაკვეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საარსებო მინიმუმი და უმუშევრობა – ძირითადი ფაქტორებია, რაც 2021 წლის ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელს წარმოადგენს. „საერთაშორისო კვლევებისა პროგნოზირების ცენტრის“ ვიცე პრეზიდენტმა, ეკონომიკის დოქტორმა, ფინანსისტმა ნიკა შენგელიამ „კომერსანტთან“ დეტალურად განმარტა, თუ რა შედეგით დასრულდა 2021 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის და როგორი იყო „ქართული ოცნების“ მმართველობის 9-წლიანი პერიოდი სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით.

ნიკა შენგელიამ განსაკუთრებული აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა და აღნიშნა, რომ 9 წელიწადში ეს მაჩვენებელი 393%-ით არის გაზრდილი.

„სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობამ 2021 წელს 10.4 მლრდ აშშ დოლარი (32.6 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 59.6%-ია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 7.7 მლრდ აშშ დოლარი, ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 965.7 მლნ აშშ დოლარი, სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები 542.1 მლნ აშშ დოლარი, სახელმწიფო საწარმოების სესხები კი 1.2 მლრდ აშშ დოლარია. ეროვნული ბანკის თანახმად, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 12.9 მლრდ აშშ დოლარი (40.4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს 73.8%-ია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 6.3 მლრდ აშშ დოლარია (19.8 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 36.1%-ს შეადგენს.

ამ მონაცემებს თუ შევადარებთ 2012 წლის მონაცემებთან როდესაც ქვეყნის სახელმწიფო ვალი 6,6 მილიარდი ლარი იყო, ვხედავთ რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში საგარეო ვალი 393%- ით გაგვეზარდა“, – განმარტა **ნიკა შენგელიამ.**

რაც შეეხება ინფლაციას, როგორც ფინანსისტი აღნიშნავს, ინფლაცია დაჩქარებულია ბოლო 10-წლიან მაქსიმუმამდე,კერძოდ ბოლო 5 თვეს აღირიცხება ორნიშნა მაჩვენებელი. ძირითადად გაძვირებულია სურსათი,რაც მოწყვლად ფენებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს.ცნობილია, რომ საქართველოში შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯების 40%-ზე ცოტა მეტი სწორედ სურსათზე მოდის.

2021 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ინფლაცია 12,5 %-ით განისაზღვრა.

ფასები გაზრდილია შემდეგ პროდუქტებზე: ზეთი და ცხიმი + 27.7%, ბოსტნეული

მამუკა გობეჩია:

სააკაშვილი ტყუილად არ ამბობს, ჩემი ცოლი ცოხეში უნდა იჯდესო!

(მესამე გვერდიდან)

სირაქლემების ფერმა 250-300 სირაქლემით, იარაღის კოლექცია – პატარა „ბერტა“ და ოპტიკური თოფები, რომელიც შემდეგ ჰქონდათ **გიგი უგულავას** და **გია გეწაძეს**. მის მიერ დაწერილ ამ ჩამონათვალში არ წერია, მაგრამ მითხრა, რომ დაიკარგა მეჰმედ აბაშიძის საგვარეულო ქამარ-ხანჯლები და მაჭახელას ტიპის თოფების კოლექცია, რომელიც რამდენიმე მილიონი დოლარი ღირდა.

– თავისთავად საინტერესოა, ასლან აბაშიძემ როგორ დააგროვა ეს ქონება, მაგრამ ასევე საინტერესოა სად წავიდა შემდეგ ეს ქონება? გარდა იმისა, რომ ნინო ბურჯანაძე და ირაკლი კოდუა დადიოდნენ აბაშიძის ბრონირებული მერსედესით და იარაღის ნაწილი მიისაკუთრეს უგულავამ და გეწაძემ...

– ეს ყველაფერი გაიყიდა! სააკაშვილმა ამ ქონების დიდი რაოდენობა თავის სიმამრს გადასცა. მაგალითად, რამდენიმე ცალი ვერტმფრენი, ასევე „ჰამერები“. უბრალო ინჟინერი იყო და დღეს მილიონერია ბატონი ედვარდ რულოვსი. შეიძლება კატარღებიც იქ იყოს. ქონების ის ნაწილი, რომელიც არ იძებნება, ვფიქრობ, რომ გაყიდულია ბიუჯეტის გვერდის ავლით. აუცილებლად უნდა არსებობდეს დეკლარაციები, უნდა არსებობდეს ტვირთის განბაჟების დოკუმენტები. მე დარწმუნებით ვიცი და იყო მაშინ ამაზე საუბარი, თვითონ ზურაც ამას ამბობდა, რომ ძირითადი სიმდიდრე და მათ შორის 18 „ჰამერი“ თავისი ასაწყობი საამქროთი და მარაგნაწილებით, ასევე ვერტმფრენები გაჩუქებული იყო სააკაშვილის სიმამრზე, რომელიც შემდეგ ყიდდა. ყველაფრის პოვნა შეიძლება და ეს დამოკიდებულია პროკურატურის მუშაობაზე.

– საერთო ჯამში, რა რაოდენობის ქონება არის დაკარგული?

– ეს არ იყო მარტოოდენ აბაშიძის ქონება. გარკვეული ნაწილი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ნაწილი კი აბაშიძის კუთვნილება. ეს კატარღები სასაზღვრო პოლიციისთვის უნდოდა, აბა რაში სჭირდებოდა 20 ცალი სწრაფმავალი კატარღა? დიდი ალბათობით, აქ საუბარია მილიარდ ნახევარი დოლარის ღირებულების ქონებაზე და კიდევ რამდენია გატანილი არავინ იცის. სააკაშვილმა ტყუილად კი არ თქვა, რომ ჩემ გვერდით ჩემი ცოლი უნდა იჯდესო. ეს ისეთი იდიოტია, კი ვერ ფიქრობს, რა თქვა. ის ადამიანი არ არის, არასოდეს მას ადამიანად არ ვთვლიდი!

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ასლან აბაშიძის „ჰამერი“

სააგენტოს საჩუქარი დევნილებს

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ იძულებით გადაადგილებულ პირებს მინიტრაქტორები გადასცა.

სააგენტოს დირექტორის ბესარიონ სიმონიშვილის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დაეხმარება მათ საკუთარი საქმიანობის წამოწყებასა თუ გაფართოებაში.

„ჩვენს მთავარ მიზანს სახელმწიფოს მიერ საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იძულებით გადაადგილებული ოჯახების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათთვის შემოსავლის წყაროს გაჩენა წარმოადგენს. არაერთი წარმატებული მაგალითი გვაქვს, როცა ჩვენი დაფინანსებული დევნილები და ეკომიგრანტები უკვე თავად ხდებიან დამსაქმებლები“, – აღნიშნა ბესარიონ სიმონიშვილმა. ბოლო ორი წლის განმავლობაში სააგენტომ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, ჯამში, 1000-ზე მეტი დევნილი და ეკომიგრანტი უკვე დაფინანსა და ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდება.

თამარ გაბუნია: მედიკამენტების მარაგი კლინიკებს აქვთ და ვფიქრობ, რომ ყველანაირად მომზადებულნი არიან

ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია კოვიდ კლინიკების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე ახალი შტამი ომიკრონი და სამედიცინო დაწესებულებების მზაობა განიხილეს.

საუბარი შეეხო კოვიდის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატების დანერგვას. მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ახალი ტალღისთვის ჯანდაცვის სისტემა მზად არის, თუმცა ამავე დროს მთავარ იარაღად კვლავ ვაქცინაცია და ბუსტერ დოზის გამოყენება რჩება.

„არის ახალი გამოწვევები, კოვიდის მართვის პროცესში, მსოფლიო დღეს უმკლავდება ომიკრონის ახალ ტალღას. კლინიკებთან ვისაუბრეთ მათი მზაობის თაობაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რა გამოწვევებს ხედავენ. დღეს საბედნიეროდ კლინიკების დატვირთვა არ არის მაღალი, მობილიზებული საწოლფონდის დაახლოებით ნახევარი არის დატვირთული. მზაობა კვლავაც რჩება მაქსიმალური, პერსონალი მზად არის, ახალი პროტოკოლი მოქმედია, მედიკამენტების მარაგი კლინიკებს აქვთ და ვფიქრობ, რომ ყველანაირად მომზადებული ხვდებიან იმ გამოწვევებს, რაც შესაძლებელია ახალი შტამის გავრცელებას უკავშირდებოდეს...“

საქართველოში ვაქცინის ბუსტერ დოზით აცრილია 77 000-ზე მეტი ადამიანი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, 5 იანვარის მონაცემებით სულ ჩატარებულია 2 528 030 აცრა.

სულ მცირე 1 დოზით ვაქცინირებულია 1 292 888 ადამიანი – 18 წლის ასაკის მოსახლეობის 45.0%. სრულად ვაქცინირებულია 1 156 606 ადამიანი – 18 წლის ასაკის მოსახლეობის 40.3%. ბუსტერ დოზა გაკეთებული აქვს 77 125 ადამიანს. 4 იანვარს აიცრა 7 191 ადამიანი.

და ბაღჩეული + 26.2%,პური და პურპროდუქტები + 20.4% ,რძე, ყველი და კვერცხი + 17.9%,შაქარი და ტკბილეული + 17.4%, თევზეული + 16.1%, ხილი + 15.5%, უალკოჰოლო სასმელები + 13.6%,ხორცის პროდუქტები + 10.7%, ყავა, ჩაი და კაკაო + 6.9%

2021 წელს სურსათი და უალკოჰოლო სასმელი 17%-ით, ტრანსპორტი 20%-ით და კომუნალური ხარჯები 11.5%-ით გაიზარდა.

„ინფლაციის ზრდის მიხედვით, საქართველო რეგიონში მე-2 ადგილზეა თურქეთის შემდეგ, მსოფლიოში – მე-16 ადგილზე. 2012 წლის მონაცემებით, წლიური ინფლაცია 2,5% ის ფარგლებში იყო. სახეზეა 47%-იანი ზრდა. აქვე შეგახსენებთ რომ ბოლო ათი წლის განმავლობასი ინფლაცია ყველაზე მაღალი – 7% მხოლოდ 2019 წელს იყო.

ასევე არასახარბიელოა სებ-ის მონეტარული პოლიტიკა. რეფინანსირების განაკვეთი 10,5 %-ია, 2008 წლის შემდეგ ლარი ახლა ყველაზე მეტად ძვირი ღირს. რეფინანსირების განაკვეთის სიდიდით თურქეთის შემდეგ რეგიონში მეორე ადგილზე ვიმყოფებით“, – განაცხადა ნიკა შენგელიამ.

მისი შეფასებით, საარსებო მინიმუმი ის სოციალური ორიენტირია, რომელსაც მთავრობა ხელფასების,შემწეობების,სტიპენდიებისა და სხვა სოციალური დახმარებების განსაზღვრისათვის გამოიყენებს და მისი ზრდა იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანაში ცხოვრება ძვირდება და არსებობის მინიმალური დონის შენარჩუნებისათვის მეტი თანხაა საჭირო, ვიდრე წარსულში.

შენგელიას თქმით, ინფლაციის დონის ზრდამ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება გაზარდა. 2021 წელს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 195 ლარიდან 224 ლარამდე გაიზარდა.

2021 წელს რეკორდულად გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ნოემბერში შემწეობა 637 747 მოქალაქემ და 172 886 ოჯახმა მიიღო, რაც ქვეყნის მოსახლეობის 17.1%-ია. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით კი მოსახლეობის 21.3% იმყოფება. 2021 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე 2.5 პროცენტული პუნქტით, 19.5%-მდე გაიზარდა.

დღეის მდგომარეობით, რეგიონში უმუშევართა რაოდენობით პირველ ადგილზე ვიმყოფებით, ხოლო მსოფლიოში მე-10 ადგილი გვიკავია.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც ფინანსისტი აღნიშნავს, საქართველოში 2021 წლის ბოლო 9 თვეში 728,4 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა,აღნიშნული პანდემიანდელ 2019 წლის მაჩვენებელ ანალოგიურ პერიოდში 24%-ით ჩამოუვარდება.

„გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციების უდიდესი წილი რეინვესტირებაზე მოდის და ახალი ინვესტიციები ქვეყანაში ნაკლები შემოდის.

ცნობისათვის, ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ინვესტიცია 1980,8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2017 წელს შემოვიდა და მას შემდეგ გვაქვს კლება.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ქვაყანაში 1039,2 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია იყო შემოსული. ინვესტიციების შემოდინების საგანგაშო კლება სახეზეა.

ამასთან, ემიგრანტების მხრიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით ქვეყანაში ჩამორიცხულია 2,1 მილიარდი აშშ დოლარი, სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი წლის ბოლოსთვის შვიდ მილიარდ ლარს მიაღწევს.

ეს ის თანხაა, რომელიც ჩვენ ეკონომიკას 14%-მდე აგენერირებს და მოთხოვნის ზრდას უწყობს ხელს. თუ გადავხედავთ, სტატისტიკურად ემიგრანტებმა გაცილებით მეტი თანხა შემოიტანეს ქვეყანაში ბოლო 9 წლის განმავლობაში ვიდრე ეკონომიკური გუნდის პოლიტიკამ ინვესტიცია მოიზიდა“, – აღნიშნა ,,კომერსანტთან“ ნიკა შენგელიამ.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 25.1%-ით მეტია.

10 თვეში ექსპორტი 26.7%-ით გაიზარდა და 3.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 24.5%-ით, 8.9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა იანვარ-ნოემბერში $5.2 მილიარდი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.4%-ია.

როგორც ანალიტიკოსმა განმარტა, აღნიშნული ზრდა ეკონომიკის გააქტიურებასა და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის აღდგენაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის დინამიკას, 2020 წელს პანდემიის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა 6,8% ით შემცირდა. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობამ 49,2 მილიარდი ლარი დოლარებში კი 15,8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 13234 ლარი (4255 დოლარი) აღირიცხა!

საქსტატის მონაცემებით,2021 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 43 მილიარდი ლარი შეადგინა, რომელიც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7,7 მილიარდი ლარით მეტი იყო.

წინასწარი შეფასებით, ათი თვის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10,5% ია.

შენგელიას შეფასებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის ორნიშა ეფექტის მთავარი მიზეზი გასულ წელს დადასტურებული 6,8%-იანი შემცირებაა. აღნიშნული ორნიშნა ზრდა რომ მომხდარიყო პანდემიური პირობების გათვალისწინების გარეშე მხოლოდ მაშინ ვიტყოდით ,რომ ეს გასაოცარი შედეგი იყო.

მკვეთრი ვარდნის შემდეგ ეკონომიკის ნორმალურ დონემდე აღდგენა გვეჩვენება ორნიშნა ზრდად. საბაზისო ეფექტის ფაქტორის გათვალისწინებით 2021 წლის შედეგი ეს არ გახლავს ეკონომიკის პირდაპირი გაგებით ზრდა, ეს უფრო შეზღუდული ეკონომიკის აღდგენაა და გასული წლის ნეგატიური შედეგების გამოსწორება და განეიტრალებაა.

აქედან გამომდინარე, როგორც ფინანსისტი ასკვნის, 2022 წელს მაღალი ალბათობით ორნიშნა ეკონომიკური ზრდა სამწუხაროდ ვერ მოხდება.

მარი ჩიტაია



გამიზნული „პროტი უვიცობა“

ამ რამდენიმე დღის წინ მეგობარი მეწვია, ცნობილი ქართველი პატრიოტი, ეროვნული იდეის ერთგული და თავდადებული კაცი. ამასთან ერთად, წიგნის დიდი მოყვარულიც არის, თუმცა თვითონ არ წერს, მაგრამ სხვათა ნაწერების კარგი გამგები და შემფასებელია. მოვიდა და ერთი პატარა წიგნაკი დამიდო წინ. „თბილისური ამბავი“ აწერია ყდაზე, ცოტა ზემოთ ავტორის სახელი და გვარი. არ მეცნო, არც ავტორის სახელი და გვარი მეუბნებოდა რამეს, თუმცა გვარი ერთობ ცნობილია საქართველოში.

გაკვირვებულმა შევხედე.

ეს წიგნი ერთი ჩემი ნათესავის სახლში ვნახე, დავინტერესდი და წავიკითხე, ნეტავი არ წამეკითხაო, – მითხრა მეგობარმა, – ამაზე მეტი მკრეხელობა არც წამიკითხავს და არც გამიგონიაო. რა წერია ასეთი-მეთქი. რაღა რა, ილია ჭავჭავაძეა გალანძღულიო.

გამიკვირდა. გადავშალე და 2012 წელს გამოუცია ეს წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“. ჩემი გაკვირვება გაოცებად იქცა. ნუთუ?

– რამდენიმე ცნობილ ლიტერატორს მივაკითხე, ჩემი აღშფოთება გამოვხატე და ვთხოვე წაეკითხათ და აზრი საჯაროდ გამოეთქვათ, მაგრამ, აპა! არც წაიკითხეს! გვარებიც დამისახელა, მაგრამ არ ვამხელ, დიდ პატივს ვცემ თითოეულ მათგანს და, იმიტომ! არ ვიცი, თავი არ გაუყადრეს წიგნის ავტორს, თუ უმნიშვნელოდ მიიჩნიეს მავანის მკრეხელური მოსაზრება უდიდეს ქართველ ერისკაცსა და წმინდანზე! – გულისტკივილით შემომჩივლა მეგობარმა.

დამიტოვე-მეთქი, ვუთხარი, შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურები, თუმცა ნამეტნავად დაგვიანებული კი არის ცხრა წლის წინ გამოცემულ წიგნზე აღშფოთების გამოხატვა-მეთქი.

დამიტოვა და წავიკითხე. მართლა ძალიან დამწყდა გული, რადგან, როგორც გავიგე, ავტორი ერთობ ცნობილი ლიტერატორის შვილი და კიდევ უფრო ცნობილი ქართველი პაპის შვილთაშვილი ყოფილა. ამიტომ ვერ დავიჯერებ, რომ მან არ იცოდეს ილია ჭავჭავაძე, ერის მამა და მოძღვარი, რომელმაც მოწამეობრივი სიკვდილით დაასრულა ამქვეყნიური ყოფა და არსებობა განაგრძო როგორც ქართველმა წმინდანმა. „ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოჰკლავდნენ“-ო; „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ“-ო; „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“-ო. ასე გამოეხმაურნენ თანამედროვეები უდიდესი ქართველი მოღვაწისა და ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის მედროშის, ერთიანი ეროვნული ცნობიერების საფუძვლის ჩამყრელის მკვლელობას.

ილიას მკვლელი გიგლა ბერბიჭაშვილი უსწავლელი კაცი იყო, რომელიც ადვილად გაბრიყვეს ერის მტრებმა. მან თავისი თავი თვითონ გასცა, როდესაც უცხოეთიდან დაბრუნებულმა პენსია მოითხოვა „დიდი დამსახურებისათვის“ – ილია ჭავჭავაძეს მე ვესროლეო. დაიჭირეს და ვერც კი გაიგო, რისთვის მიუსაჯეს დახვრეტა. უსწავლელი იყო, ბნელი...

ამ წიგნის ავტორი ლაშა იმედაშვილი, არამგონია უსწავლელი კაცი იყოს და მისი პუბლიცისტობა თუ ბელეტრისტობა მხოლოდ ბოროტი უვიცობის გამოვლინებად უნდა მივიჩნიო.

წიგნში მეცხრამეტე საუკუნის თბილისური ამბავი (თუ ამბებია) გადმოცემული, რომელიც იმდროინდელ ჟურნალისტს (?) ვიღაც სამსონ ბალახაშვილს „შემოუნახავს“ ლაშა იმედაშვილისთვის.

კარგით, დავუშვათ ილიას თანამედროვე ბალახაშვილმა შემოინახა ის სისულელეები, თითქოს იგი შეესწრო, მაგრამ რა საბუთი აქვს განათლებულ ლაშა იმედაშვილს, რომ ის ვიღაც სამსონ ბალახაშვილი ქართველია და არა გაქართველებული მტერი, რომელიც მზაკვრულად ცდილობს ქართველთა სათაყვანებელი ეროვნული ლიდერის სახელის გატეხვას. მან კარგად იცის, რომ ქართველები თავიანთ გამორჩეულ ადამიანებს არასოდეს აფასებენ, სიცოცხლეში მაინც და შურით ივსებიან, კარგები რატომ გამოგვრევიან ხოლმე ერში, ჩვენზე უკეთესებიო! რა, ერთი და ორი მაგალითი ვიცით ამისა? განა ამას არ ჩიოდა ვაჟა-ფშაველა ლექსში „გიორგი სააკაძის სურათზედ“: „კარგის დაღუპვა რატო გვენატრება, ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“

განათლებულმა კაცმა, თუ ის ქართველია და ბოღმითა და შურით არ არის აღვსილი ქართველთა მიმართ, როგორ უნდა დაიჯეროს, რომ „ილიას არც სტუმრად უყვარდა სიარული და არც თეატრში მისვლა-მოსვლით იკლავდა თავს. ეს იმის ბრალი იყო, რომ მუსიკა არ ესმოდა, უფრო სწორად, სმენა არ ჰქონდა. ცოტა მეტს რომ დალევდა, აეშლებოდა სიმღერის საღერღელი, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა“ (გვ. 86).

რა ჭკუა უნდა მოსთხოვო ამის დამწერსა და მის გადმომწერს!

ილია ჭავჭავაძის სტუმრობა მთელი მოვლენა იყო საქართველოს იმ სოფლის, ქალაქისა თუ რეგიონისათვის, სადაც ის ჩავიდოდა. მასთანაც სტუმრობდნენ იმ დროის ღირსეული კაცები. კაცი თუ სრულ ჭკუაზეა და განათლებაც ხელს უწყობს, რაღა ვიღაც გაქართველებული, თუ გათახსირებული კაცის სულელურ ჩანაწერებს გამოამზეურებს, იაკობ განსვეტაშვილის მოგონებებს გამოიყენებს, რომელიც ილიას თანამედროვე და საქმით დაკავშირებული ახლობელი იყო. მას ილიას ლხინიც აქვს აღწერილი და ისიც აღნიშნული, რომ მას ნამდვილად ჰქონდა მუსიკალური სმენის დეფიციტი, ამიტომ სუფრასთან მომღერლებს კარგ პარტნიორობას ვერ უწევდა და, ეს გვიშლის ხელს სტუმრად სიარულსა თუ მასპინძლობაში? მეტსაც ვიტყვი: აკაკი წერეთლის ვაჟს ალექსისაც არ შეეძლო სიმღერა, შინაგანი სმენა აკლდა, მაგრამ სხვათა სასიმღერო ტალანტის უბადლო შემფასებელი იყო. სწორედ მასთან მიჰყავდათ რუს და ევროპელ არისტოკრატებს შესაფასებლად თავიანთი შვილები!

არც თეატრში მისვლა-მოსვლით იკლავდა თავსო, – ეს იმ ვიგინდარა ე.წ. ბალახაშვილმა თუ დაწერა, დღევანდელმა მწერალმა უნდა გაიმეოროს? „თეატრში მისვლა-მოსვლა“ რა უბედურებაა, მაცოდინა ნეტავი! იმის თქმა გინდა, ლაშა ბიძია, რომ ილიამ თეატრის ყადრი და მნიშვნელობა არ იცოდა? ის მაინც არ გაგიგია, რომ მან, ივანე მაჩაბელთან ერთად, შექსპირის დიდებული პიესა თარგმნა? არც ის იცი, როგორ გულშემატკივრობდა ქართულ თეატრს? აბა, მარტო სამსონას ბოროტი ნაბჟუტურევი იცი? არა მგონია!

„ერთხელ მაინც დაითანხმეს ოპერაში წასვლაზე. ეს მოახერხა ვინმე სოსიკო ბაქრაძემ“ (გვ. 86).

ახლა არ იკითხავთ ვინ იყო (თუ იყო?) სოსიკო ბაქრაძე? ერთი ქარაფშუტა კაცი, რომელსაც მუდმივი საქმე არასოდეს ჰქონია: ერთ დღეს ბანკში მუშაობდა, შემდეგ ცირკში გადაინაცვლებდა ჯამბაზად, მერე კარუსელს გამართავდა. მოკლედ, ერთი ლაზღანდარა, თითქმის უსაქმური კაცი იყო. „ილიას უყვარდა ასეთი ტიპები, რაც სოსიკოს შელაზღანდარების საშუალებას აძლევდა“, – იგონებდა, ალბათ, ბალახაშვილი და თავის წიგნში აღნიშნავს ლაშა იმედაშვილი.

დიდ ილიას უსაქმური და ლაზღანდარა კაცები უყვარდა, თურმე, და მათთან მეგობრობდა! ახლა, რაც ენაზე მომადგა იმას ვიტყვი: ვაი თქვენს პატრონს, სამსონ და ლაშა!

ილია ჭავჭავაძე დღენიადაგ იმას უქადაგებდა ერს, რომ „კეთების ცოდნა“ (ილიას ტერმინია!) შეიძინეთ, რადგან წინათ თუ ხმლით მოდიოდა მტერი, ქართველიც ხმალს ახვედრებდა და თავს იცავდა; ახლა მტერი ხმლით აღარ მოდის, ცოდნითა და სახელოსნო იარაღებით მოდის და თუ ჩვენ ასეთივე იარაღით არ დავხვდით, გადაგვთელავენო. ვისაც ილიას საპროგრამო სიტყვა წაუკითხავს, რომელიც მან წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე წარმოსთქვა, თუ გონებადაბინდული ან მტრობით აღვსილი არ არის, როგორ უნდა თქვას, ილიას საქმიანი კაცები არ უყვარდა და ლაზღანდარებთან მეგობრობდაო. შე „კაი კაცო“, ისე რამ გადაგრია, ქართველთა განათლებაზე გადაგებული მოღვაწე „ლაზღანდარების“ მეგობრად გამოაცხადე!

ლაზღანდარების მეგობარი კი არა, ილია ჭავჭავაძეს თავისი ეროვნული კუთვნილებაც კი არ სცოდნია, თურმე!

„ილიამ უცნო ენები არ იცოდა. მართალია, ამაზე სწუხდა, მაგრამ გამოსასწორებლად არაფერს ცდილობდა“, – წერს ამ ე.წ. წიგნის უბედური ავტორი“, – ერთხელ სოსიკომ, ნარდის თამაშის დროს ასეთი რამ უთხრა:

– ილია, ეს სომხური მაინც შეისწავლე, ნახევარი გვერდი ხომ მაინც სომხისა მოგდევს.

– მერე, რომელ ფილოსოფიურ ტრაქტატებს წავიკითხავ მაგ ენაზე? ბაზარში კი მე არ დავდივარ – მოჭრა ილიამ და კამათლის გაგორება განაგრძო“ (გვ. 87).

ხედავთ, დასთანხმებია ილია იმ სულელ სოსიკოს. იმ უტვინო სოსიკოს ველარაფერს გავაგონებ, მაგრამ ამ „პატივცემულ“ ლაშას ვეტყვი: ბიჭო, ილიას დედა თავად ბებურიშვილის ქალი იყო. მამამისმა გრიგორიანული სარწმუნოება თუ მიიღო, ეს იმიტომ, რომ პირველი გილდიის ვაჭრების წინამძღოლი იყო, სომხური ქრისტიანობა მიიღო, თორემ სომეხი კი არ გამხდარა, ისე, როგორც ქართველი კათოლიკეები არ გამხდარან ფრანგები, თუ იტალიელები. ეს არ იცოდა ილიამ, ხომ? ამიტომ დაეთანხმა იმ სულელ სოსიკოს, არა?

რა უნდა გითხრა: ან ჭკვიანი მტერი ხარ, ან სულელი მოყვარე! სხვას, ამჯერად, ვერაფერს გეტყვი.

ახლა ერთ „ამბავსაც“ გაგაცნობთ ამ ე.წ. წიგნიდან და საბოლოო შეფასებასაც გავაკეთებ.

მკითხველს ვთხოვ, მოთმინება მოიკრიბოს და ყურადღებით წაიკითხოს ის, რაც ახლა ლ. იმედაშვილის წიგნიდან უნდა ამოვწერო.

„ამ აბეზარმა სოსიკომ დაპატიჟა(?!) ილია ოპერაში. იმხანად სოსიკო თეატრის დასში ირიცხებოდა მებარაბნედ და ამიტომ ზედმეტსახელად ბარაბანჩიკს ეძახდნენ.

– ილია, დღეს საღამოს ოპერაში მობრძანდით, „ტრავიატას“ თამაშობენ, გამოჩენილ იტალიელ მომღერლებს მოისმენო.

– კარგი, სოსიკო, წამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით, სიტყვა მომეცი, ამისრულო, რაც დაგავალო.

– ბატონი ბრძანდებით, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიყო.

– მაშ, აბა, როდესაც ორკესტრი მიწყნარდება და მომღერალი ქალი სიმღერის ეშხში შევა, რაც ძალი და ღონე გქონდეს, ბარაბანს დაჰკა მაგრად.

– ბატონი ბრძანდებით, მაგაზე ადვილი რა არის“ (გვ. 87)

მეტს ვეღარ გავაგრძელებ, მხოლოდ გეტყვით, რომ ილია თურმე პარტერის პირველ რიგში იჯდა, მარტოდმარტო! ოპერაში მარტო ვინ დადიოდა, ვინმე ბოგანოს გარდა, ბოგანოები კი პარტერის პირველ რიგში არ ისხდნენ. ეს ისე, გადავუხვიე, უნებურად. მოკლედ, სოსიკომ დავალება უნაკლოდ შეასრულა, ატყდა და რა ატყდა სკანდალი და საოპერო სპექტაკლი ჩაიშალა.

გესმით, რას კადრულობს ეგ იმედაშვილი?

რა არის ეს შიზოფრენიკის ნაბოდვარი, უკიდეგანო სიბრიყვე თუ... არა, არა! არცერთი. ეს არის გამიზნული ბოროტი საძაგელი, რომელიც ყბადადებული ნეოლიბერალიზმის ადეპტების დაკვეთით სრულდება. ერს არ უნდა ჰყავდეს სათაყვანებელი ისტორიული პიროვნებები, მან არ უნდა იცოდეს საკუთარი წარსული და არად უნდა აგდებდეს ეროვნულ ღირებულებებსა და წეს-ჩვეულებებს, რათა ადვილად გადააძაციონ იგი უსახურ ბრბოდ და საძოვარზე მიშვებულ ნახირად.

ხალხს შეუცვალეთ ჭეშმარიტი ღირებულებები ყალბი ღირებულებებით, თუ გსურთ თქვენს ჭკუაზე ატაროთ იგი, – მოძღვრავდა ალენ დალესი თავის ემისრებს. ამგვარი ემისრები ბევრია ჩვენში, ზოგჯერ წარმატებასაც აღწევენ.

ბრიყვებში ინტელექტუალად შერაცხილმა, ავად ცნობილმა ლევან ბერძენიშვილმა არ თქვა ამ რამდენიმე წლის წინ, მე ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს არ ვიცნობო! აბა, რა ბაბასილს იცნობს, ნეტავი? მაგრამ საქმე ის კი არ არის, ის იცნობს თუ არა ილია ჭავჭავაძეს, როგორც მწერალს, არა! ეჭვის ბოროტი თესლი ხომ ჩააგდო, იმ იმედით, რომ სადღაც მაინც გაღივდება იგი. ასევე ინტელექტუალურად მიჩნეული როსტომ ჩხეიძე განა გულდაგულ არ იბრძოდა გიორგი სააკაძის ძეგლების დანგრევისათვის? სხვათა დასახელებაც შეიძლება.

ამ ეროვნულ „მოღვაწეებს“ ქართველთა გულუბრყვილობისა და მეხსიერების დეფიციტის იმედი აქვთ? ამაოდ! მაგრამ დღევანდელი ეროვნული ნიჰილიზმი ნამეტნავად გალაღდა ჩვენში და თუ არ გავმეცადინდით, მალე ქართველობა სამარცხვინო გახდება ჩვენი შთამომავლობისათვის. ამის სიმპტომები სრულიად აშკარაა!

რატომ ძმებო, შვილებო და შვილიშვილებო, რატომ? რამ შეგაძულათ ქართველებს საქართველო? ამას ტიროდა დიდი ვაჟა და ეს გაგვიხდა ჩვენც სატირლად.

როგორც ჩანს, მარტო ტირილი და გულის ფხანა საქმეს არ შველის, როგორც დიდი ილია გვეუბნებოდა, ფხანა ქეცმა იცის, ნუ გავიქეციანებთ გულს, ბასრი მახვილით მოვიკვეთოთ ქეცის კერები!

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი



პაატა ჩხეიძე: რუსეთმა 1801 წელს ძალადობრივად გააუქმა საქართველოს სამეფო და სამართალი მოითხოვს, აღდგეს საქართველოს სამეფო!

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ჩხეიძე ფიქრობს, რომ ევროპელ მონარქებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ, ისინი გამოხატავენ სახელმწიფოს წარსულს, აწმყოს და მომავალს, მის ისტორიასა და ტრადიციას, ხოლო პოლიტიკური კრიზისის დროს გადამწყვეტ როლს ასრულებენ. მისი თქმით, მონარქის ინსტიტუტის აღდგენა სამართლებრივად ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია, ხოლო პოლიტიკურად ერის გამაერთიანებელი ფაქტორი უნდა გახდეს.

FORGE პაატა ჩხეიძეს ესაუბრა.

1801 წლის მანიფესტი რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ

— ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ საბოლოო ჯამში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის აუცილებელია მონარქიის აღდგენა. რამდენად იზიარებთ ამ განწყობას და რა იცვლება, თუკი საქართველოში აღდგება მონარქის ინსტიტუტი?

პაატა ჩხეიძე: სხვაგარად არაფერი გამოვა. სხვაგვარად, საქართველოს კონსტიტუცია დარჩება მხოლოდ მეოცე საუკუნის პროდუქტად და კავშირს ვერ აღადგენს საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობასთან. თუკი ვაცნობიერებთ, რომ საქართველო ძველთაძველი სახელმწიფოა, მაშასადამე მისი კონსტიტუციაც ძველთაძველია. თუ იმასაც ვიტყვით, რომ რუსეთმა 1801 წელს ძალადობრივად გააუქმა საქართველოს სამეფო, ისიც უნდა დავამატოთ, რომ სამართლიანობა და სამართალი მოითხოვს, აღდგეს საქართველოს სამეფო, ოღონდ სახეცვლილი და თანამედროვე პირობებს შეხამებული. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე ჩვენი კონსტიტუცია ნაკლულოვანი იქნება და არა სამართალზე დაფუძნებული, არამედ მიზანშეწონილობაზე ორიენტირებული, რაც განმსჭვალავს ჩვენს დღევანდელსა და მომავალ, სამრთლებრივ- პოლიტიკურ ყოფას.

— თუკი ჩვენ ვისაუბრებთ მონარქის ინსტიტუტის აღდგენის აუცილებლობაზე, ასეთ შემთხვევაში მმართველობის როგორი მოდელი შეიძლება იყოს ეფექტური?

— რა თქმა უნდა, კონსტიტუციური, საპარლამენტო მონარქია! ამაზე 1990 წელს წერდა ოთარ ჩხეიძე, სამწუხაროდ, ყური არ უგდეს ძლიერთა ამაქვეყნისათა თუ იმაქვეყნისათა. ასეთი სახელმწიფო მოწყობით მრავალი პრობლემის არიდებას შევძლებდით. შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა ძმათა შორის დაპირისპირება, სისხლიანი გადატრიალება, სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები და ტერიტორიების დაკარგვაც.

— რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია აღდგეს ისტორიული ტრადიცია და ასე გააგრძელოს საქართველოს სახელმწიფომ არსებობა, მაგრამ გაჟღერდა ასეთი მოსაზრებაც, რომ ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა ექნება მხოლოდ. სამართლებრივ პოლიტიკურ ასპექტში რას ნიშნავს მონარქიის აღდგენა?

— განა სიმბოლური დატვირთვა ცოტას ნიშნავს?! სიმბოლოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს წარსულსა და დღევანდელობაში. ეს კარგად იციან ევროპელმა პოლიტიკურმა მოაზროვნეებმა და პოლიტიკოსებმა და მოხერხებულად იყენებენ კიდეც. ევროპელ მონარქებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ, ისინი გამოხატავენ სახელმწიფოს წარსულს, აწმყოს და მომავალს, მის ისტორიასა და ტრადიციას, მაგალითს უჩვენებენ ქვეყნის მოქალაქეებს, ყველაზე დაწინაურებული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი არიან და პოლიტიკური კრიზისის დროს გადამწყვეტ როლს ასრულებენ. სამართლებრივად, როგორც აღვნიშნე, ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია. პოლიტიკურად კი ერის გამაერთიანებელი ფაქტორი უნდა გახდეს.

— როგორ ფიქრობთ, რა რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მონარქიის ინსტიტუტის აღდგენა და დღეს ამისთვის არის მზად ქართველი საზოგადოება?

— რისკის გარეშე არც ერთი დიდი საქმე არ აღსრულებულა. რისკი მრავალია და უფრო მეტიც გამოჩნდება. რისკებია ქვეყნის შიგნით, მეხუთე კოლონა და რადიკალური პოლიტიკური ძალები, გარეთ — უახლოესი მეზობლები და გლობალისტური ძალები... საქართველო მუდამ მტრიანი ქვეყანა იყო. ხოლო რაც შეეხება საზოგადოების მზადყოფნას, როცა ხალხს შევეკითხებით და გონივრულ, განსჯილ პასუხს დავაცლით, ვნახავთ, რომ მისი მომზადება ამ საქმისათვის შეიძლება ორიოდ წელიწადში, ხოლო თუ რადიკალებსა და ქუჩაში გამოსულ ბრბოს ვკითხავთ, სრულიად გაუგებარსა და მტრულ პასუხს მივიღებთ.

— როცა ვსაუბრობთ ამ ინსტიტუტის აღდგენაზე, ალბათ, უნდა ვისაუბრობთ ოკუპირებული ტერიტორიების ჭრილში. სამწუხაროდ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით რთული ვითარება გვაქვს, სულ უფრო ვშორდებით აფხაზეთს და ცხინვალს. როგორ ფიქრობთ, რას გვაძლევს მონარქის ინსტიტუტის აღდგენა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნაწილში?

— თუ საქართველოს ისტორიას დავუჯერებთ და ცდას არ დავაკლებთ, სიშორის სიახლოვედ გადაქცევას შევძლებთ, მაგრამ ეს ძალზე დიდი და ვრცელი თემაა... ტერიტორიები ჩვენი უგუნურებისა და სულმოკლეობის გამო დავკარგეთ. ტერიტორიების დაბრუნება კი ძნელი და ხანგრძლივი პერსპექტივაა და ისტორიული მომენტის დადგომას უნდა ველოდოთ, როგორც ეს ადრე მომხდარა. ოღონდ, უნდა გვწამდეს და გონივრულად უნდა მოვიქცეთ. შეუძლებელი არაფერია და არა მხოლოდ აფხაზეთს, ცხინვალსა და ახალგორს დავიბრუნებთ, არამედ ტაოკლარჯეთს, საინგილოსა და ლორესაც.

— საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ირაკლი გოგავა ფიქრობს, რომ საქართველოში მმართველობის რამდენიმე მოდელი შეიძლება იყოს ეფექტური. პირველი ვარიანტი, ეს არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დაფუძნებული კონტროლის უძლიერესი მექანიზმები. მეორე ვარიანტია კონსტიტუციური მონარქია, რომელიც საინტერესო მოდელია, რადგან მონარქის და ნებისმიერი მმართველის მთავარი ფუნქციაა ჩაიბაროს, შეინარჩუნოს, გაამრავლოს და გადასცეს. რომ გადავხედოთ მსოფლიო მონარქიებს და ძლიერ საპრეზიდენტო რესპუბლიკებს, ძლიერი მაკონტროლებელი სტრუქტურებით სწორედ ისინი არიან ყველაზე განვითარებული ქვეყნები...

— თავისთავად, სახელმწიფო მოდელი ვერ იქნება ქვეყნის განვითარებისთვის ერთადერთი და გადამწყვეტი პირობა. ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ, სისხლი და ოფლი ვღვარეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ, ალბათ, თავგანწირვა და ერთგულება არ გვეყო. პოლიტიკაში ჩაბმულმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ სამშობლო მისგან თავგანწირვას მოითხოვს და ამისათვის მუდამ მზად უნდა იყოს. ჩვენს პოლიტიკოსებს კი საკუთარი ძალაუფლება უფრო უყვართ და მზად არიან, ქვეყანა შესწირონ ძალაუფლების მოპოვებასა და საკუთარ კეთილდღეობას.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ოკუპირებული ცხინვალის იზოლატორში საქართველოს 5 მოქალაქე რჩება

საქართველოს 5 მოქალაქე ახალ წელს ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში შეხვდა. თითოეულ მათგანს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით აქვს წაყენებული.

ოჯახის წევრებს და მეგობრებს ყველაზე მეტად მამუკა ჩხიკვაძის მდგომარეობა აშფოთებთ. ჩხიკვაძე ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა, ამიტომ ახლობლები ფიქრობენ, რომ ის ფიზიკური ზემოქმედების და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია.

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ მამუკა ჩხიკვაძის დაკავების შესახებ, გასული წლის 12 დეკემბერს გახდა ცნობილი, როცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოკლე ცნობა გაავრცელა. ყოფილი ჯარისკაცი მამუკა ჩხიკვაძე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს, მანამდე ის ჯერ შინდისის გმირთა მემორიალთან იმყოფებოდა, მოგვიანებით კი ნიქოზის სასაფლაოსთან ნახეს. 14 დეკემბერს მისმა მეგობრებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჩხიკვაძეს ცხინვალის იზოლატორში სცემენ და არაადამიანურად ეპყრობიან.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვის, რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ მხარეს, მამუკა ჩხიკვაძის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია 4 იანვარს უნდა მიეწოდებინა, თუმცა როგორც ანტისაოკუპაციო მოძრაობის ლიდერი დავით ქაცარავა აცხადებს, საოკუპაციო ძალებმა ამისთვის კიდევ 20 დღე ითხოვეს. ქაცარავა ამბობს, რომ საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებს დრო გაჰყავთ.

იხ. 8 გვ.

ოკუპირებული ცხინვალის იზოლატორში საქართველოს 5 მოქალაქე რჩება

(მეშვიდე გვერდიდან)

ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანტისაოკუპაციო მოძრაობამ ჩხიკვაძის დაკავებიდან რამდენიმე დღეში მიმართა და პასუხიც მალევე მიიღო. სასამართლოს მიერ გამოგზავნილ წერილში წერია: „სასამართლომ გადაწყვიტა რუსეთის მთავრობას მოსთხოვოს, 54-ე მუხლის მე-2 (ა) მუხლის მიხედვით, წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

არის თუ არა მამუკა ჩხიკვაძე ამჟამად დაკავებული? თუ ეს ასეა, მთავრობას შესთავაზა სასამართლოს წარუდგინოს ინფორმაცია მისი დაკავების გარემოებების შესახებ, პატიმრობის სამართლებრივი საფუძველი, პატიმრობის პირობები, და მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, წარადგინოს მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. მთავრობას ეთხოვა ამ ინფორმაციის წარდგენა 2022 წლის 4 იანვრამდე“.

რუსეთის ფედერაცია ინფორმაციის გაცემას აგვიანებს, ასევე აგვიანებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტიც, რომლის წარმომადგენლებმა ცხინვალის იზოლატორში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ამ დრომდე ვერ მოინახულეს. დაკავებულთა ოჯახებს მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ეკონტაქტებიან. სოფელ ავლევის მცხოვრებ ზაზა მეგრელიშვილის ცოლს, ელზა ბაქრაძეს სუს-ის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი ანთაძე დაუკავშირდა და მხოლოდ ის აცნობა, რომ დაკავებულის მდგომარეობა ნორმალურია.

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ავლევის მცხოვრებლები ზაზა მეგრელიშვილი და თამაზ გოგიჩაშვილი საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 15 დეკემბერს ოკუპირებული ლოპანის მიმდებარე ტყეში დააკავეს. ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გარდა მათ კონტრაბანდული ტვირთების გადატანასაც ედავებიან, ოკუპირებული ზნაურის სასამართლომ მეგრელიშვილსა და გოგიჩაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ავლეველები დაკავებული თანასოფლელების გათავისუფლებას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ ტყე, სადაც ისინი დააკავეს, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორია იყო, თუმცა ახლა იქ შიშით ვეღარ გადიან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ უკანონოდ დაკავებულთა გასათავისუფლებლად ყველაფერი კეთდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 24 დეკემბრის მონაცემებით, 2021 წელს აფხაზეთის მიმართულებით 11 მოქალაქე დააკავეს, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში — 67.

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა იანვრის ბოლოს გაიმართება, სადაც საქართველოს დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლების საკითხზე იმსჯელებენ.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების კორესპონდენტი შიდა ქართლში.

(მეორე გვერდიდან)

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების სტრატეგიული შეცდომა იყო ის, რომ ისინი ვიქტორ ორბანს მრავალი წლის განმავლობაში აძლევდნენ საშუალებას, აეშენებინა თავისი ავტოკრატიული სახელმწიფო ევროპის სახალხო პარტიის ფრთის ქვეშ, რომელსაც ევროპარლამენტში ყველაზე ძლიერი ფრაქცია ჰყავს.

სწორედ ამ საფარქვეშ ორბანმა გაანადგურა მედიის თავისუფლება, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ინსტიტუციური გარანტიები და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლებები. სახელმწიფო პროპაგანდის უწყვეტი ნაკადი მიზნად ისახავდა მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებასა და გარე სამყაროს წინაშე არსებული პოლიტიკის გამართლებას. უნგრეთი გახდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მემარჯვენე პოპულისტების მაგნიტი — ფრანგი მარინ ლე პენით დაწყებული, აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტით, მაიკ პენსით დამთავრებული.

მართალია თუ არა, რომ POLEXIT-ი გვიახლოვდება?

მიუხედავად **იმისა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიის დეფიციტზე ევროკავშირში ბევრს საუბრობდნენ, პრეზიდენტ ბაიდენის „დემოკრატიის სამიტში“ მონაწილეობის უფლება პოლონეთს მაინც მიეცა. შეიძლება იმიტომაც, რომ იქ სახელმწიფოს ავტოკრატიული რესტრუქტურიზაცია ჯერ ასე შორს არ წასულა. ნებისმიერ შემთხვევაში, 2015 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მმართველი კონსერვატიული პარტია „კანონი და სამართლიანობა“ უნგრეთის გამოცდილებას უდავოდ დაეყრდნო. მედიის თავისუფლების აღმოფხვრა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ძირის გამოთხრა, ლგბტ თემის წინააღმდეგ ბრძოლა და აბორტების აკრძალვა - ეს ყველაფერი მძვინვარე ნაციონალიზმით არის გაჟღენთილი.**

თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა გაჩნდა ოქტომბერში, როდესაც პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ევროკავშირის კანონებზე უპირატესია. გაჩნდა კითხვა, გეგმავდა თუ არა ვარშავა Polexit-ს — ევროკავშირიდან გამოსვლას. პარტია „კანონი და სამართლიანობის“ თავმჯდომარემ იაროსლავ კაჩინსკიმ ეს ვარაუდი მაშინვე უარყო.

აღმოსავლეთ ევროპა დასავლეთის წინააღმდეგ

არის თუ არა ევროკავშირი დაშლის პირას?

ქვეყანაში დაწყებულმა მასობრივმა პროევროპულმა დემონსტრაციებმა კი აჩვენა, რომ პოლონეთში საზოგადოებრივი აზრი ჯერ არ არის ისეთი ზომბირებული, როგორც ამას მმართველი პარტია იმედოვნებს.

ევროკავშირთან სამართლებრივ განხეთქილებას წინ უძღოდა ევროპის სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილება ვარშავის წინააღმდეგ. კერძოდ, ეს იყო გადაწყვეტილება მიმართული კანონმდებლობის იმ ცვლილებების წინააღმდეგ, რომლებიც პოლონეთის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა.

მუშაობს თუ არა ფინანსური ზეწოლა?

„ილუზიაა **იმის დაჯერება, რომ დემოკრატია და კანონის უზენაესობა შეიძლება ბრიუსელიდან გამოცხადდეს“,** — ამბობს შტეფან ლენე და დასძენს, რომ ევროპულ ღირებულებებზე ორიენტაცია მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით მიიღწევა. ექსპერტი იმედის ნაპერწკალს იმაში ხედავს, რომ ორივე ქვეყნის დიდი ქალაქები ახლა ოპოზიციის კონტროლქვეშ არის. გარდა ამისა, ორბანს მარკი-ზაის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და გამოკითხვებიც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ექსპერტის შეფასებით, ამავდროულად, ევროპამ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს არა მხოლოდ იურიდიული, არამედ — ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის, რეკონსტრუქციის ფონდის სახსრებზე ხელმისაწვდომობა. ამავდროულად, ფინანსური ზეწოლის ეფექტიანობისადმი გარკვეული ოპტიმიზმის მიუხედავად, პოლიტოლოგი ხედავს „მნიშვნელოვან საფრთხეს“, რომ კანონის უზენაესობისთვის ბრძოლაში სიტუაცია შეიძლება გაუარესდეს.

მაგალითად, თუ პოლონეთი დაიწყებს ევროპული კანონმდებლობის დაბლოკვას, კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის საკითხებით დაწყებული, **„ევროკავშირს ძალიან დიდი პრობლემა ექნება“. თუმცა ამ მომენტში ჩვენ ჯერ კიდევ „საინტერესო ფაზაში ვართ ესკალაციასა და გარკვეულ კომპრომისებს შორის, რომლებსაც სიტუაციის განმუხტვა შეუძლიათ“,** — ამბობს ლენე. ექსპერტის შეფასებით, ნებისმიერ შემთხვევაში, შანტაჟის ალბათობა ორივე მხრიდან მაღალია.

ყაზახეთში მთავრობა გადადგა

ძვეშნის პრეზიდენტმა, ყასიმ-ჟომართ თოყაევმა ქვეყანაში მიმდინარე მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მთავრობის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ალიხან სმილოვი დაინიშნა.

ყაზახეთის ქალაქებში მასობრივი საპროტესტო აქციები გაზის მომატებული ფასის გამო დაიწყო. თავდაპირველად დემონსტრაციები მშვიდობიანი იყო, თუმცა მოგვიანებით შეტაკებებში გადაიზარდა, რის გამოც ყაზახეთის პრეზიდენტმა, ცენტრალური აზიის უდიდეს ქალაქ ალმათში და დასავლეთ მანგისტაუს პროვინციაში ორკვირიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. 23:00 საათიდან დილის 07:00 საათამდე ე.წ. კომენდანტის საათი დაწესდა. ამასთან, თოყაევმა ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაავალა, რომ 180 დღის განმავლობაში სახელმწიფო რეგულირება დააწესოს გაზის, ბენზინის, დიზელისა და სოციალურად მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების ფასზე.

სიცილნათელები ქუთაისიდან და ბორჯომიდან

ალექსანდრე შენგელია

მაღლა შემოჰკარ!

უღლის გამწევი ხარ ხარი
და რომ გვჭირდები, იცი, რომ,
ხან ღიმილით, ხან ხარხარით
უნდა გვიშველო, სი-ცი-ლო!
ტყუილს ნუ იტყვი, შვილოსა,
თუნდ ძალზე სასაცილოსა,
„დაბლა კი ნუ სცემ პილოსა,
მაღლა შემოჰკარ რბილოსა!“

ტარტარენ მაკედონელი!

ხუთდღიანი ომი იცის,
თუმცა არა Veni, Vici!
მთავარსარდლის ვნახოთ დონეც,
შეადარეს მაკედონელს!..
— მამას თუ შვილს?
— ორში რომელს?
— ალ-ექს-ანდრე მაკედონელს!..
— ღმერთო, ეს რა გაგვაგონე?
რას ერჩიან მაკედონელს?
ტარტარენს ჰგავს ტარასკონელს!

განვირება

ორპირას და ოჩო-კოჩოს,
უამრავთა გასაკვირად,
ეძახოდნენ ადრე ჩოჩორს,
მაგრამ უკვე დადის ვირად.
ჩამოგითვლით კაკალ-კაკალ,
გულში ბოღმად რაც ატარა,
მამას ძაღლი რომ ჩააკლა
და საფლავში ჩაატანა!
ყალთაბანდეგს — ბასტა!
ვინა ხართ და რა ხართ? —
გაუკვირდა გინესს,
ცრუპენტელეგს რახან
დღემდე ვაბოგინებთ.
მსგავს კითხვათა დასტა,
კიდევ დიდხანს გასტანს,
ყალთაბანდთა კასტას
თუ არ ვეტყვით „ბასტას“!

პრობლემა — სექსი!

ჩასუნთქვას აღარ გვაცლიან,
აწყობენ ქუჩურ აქციას
და განა თითო-ორროლას,
ბევრ მათგანს გვტაცებს კორონა.
მეგის ოჯახსაც ეწვია
და იმედი რომ ბეწვზე აქვს,
ხალხი დაგესლა მხრჩოლავი
მისთვის ჩვეული „მორალით“!
...საქმეა გასაოცები,
პასუხი კი არ გვეღირსა,
ვერც მე მივხვდი, ვერც ქოცები,
სექსი რატომ სძულს მეგისა?!

შუანგი ჯანგირაშვილი

წერტილიც ვარ და...

სამყაროს უსასრულო სრბოლაში
ვინ ვარ, რა ვარ და რას ვშვრები?
პაწაწინა მოძრავ წერტილად
გავჩენილვარ და... გავქრები;

შორიდან ვჩანვარ წერტილი, თორემ...
აბა, ბუზს ჰკითხეთ, წერტილი ვარ?
ჭიანჭველებს ჰკითხეთ, ხოჭოს...
ბალახებში განაბულები დამცინიან:
„რამხელა ვირგლა ხარ, ბიჭო“!

კოვიდი და კოცნები

(ანუ: ყურმოკრული
დიალოგი გაღის კუთხეში)

— კოვიდი მაქვს,
არ მაკოცო,
გაიწიე, გადაგდებ!
ორი კვირა გასრულდეს,
მოიცადე ხვალამდე!
— ნუ მაშინებ,
ერთი კოცნა,
მხოლოდ — ერთი კოცნა!
ხვალამდეო? — რა მოიცდის!
სიკვდილია მოცდა!
უკოცნელადაც ხომ ვკვდები,
კოცნა მაინც შემრჩეს!
რას დამაკლებს ეგ კოვიდი
შენი კოცნის შემდეგ?!
— აღარ ვიცი,
რა ვიღონო,
შე ანცო და გიჟო.
ერთი კოცნა მითხარი და,
ნუ დამახრჩე, ბიჭო!...

„შეცდომა“ მისალმებაში

„როგორ ბრძანდებითო?“ — მილიონერს
მივესალმე და... დავირცხვინე;
„ასე არ უნდა მეთქვა, „მაპატიეთ“,
როგორ თუ „როგორო“? — გავიცინე;

მან სახის მიმიკით „მაპატია,
„არ ღირსო“, — თქვა და გამერიდა;
ვიღაც ქალი ჩემს სიტყვებზე
სახტად დარჩა,
თითქოს ჩამოფრინდა ღრუბლებიდან...

ამ იუმორესკებით ახალ წელს ვულოცავთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს: იხარეთ და იმრავლეთ! გჭონდეთ ღვთის წყალობა. გულში — სულ სიმღერა და გალობა, ლხინში — გამწეობა და ჭირში — გამძლეობა...

ღომის ცეხვა. სამეგრელო, მეგატონის კარმიდამო

რით ვიკვებებოდით ქართველები ამერიკის აღმოჩენამდე?

რა ქართული საკვები მივიწყეთ

ქართული სუფრა და სამზარეულო, ქართულ სტუმარ-მასპინძლობასთან ერთად, მსოფლიოში რომ განთქმულია, საუკუნეებია ცნობილია. ბევრი ქართული კერძი არამატერიალური კულტურის საგანძურად ითვლება. მაგრამ, საგულისყუროა, თუ რით იკვებებოდნენ ქართველები უძველეს დროს და რომელი მცენარეული საკვები ითვლებოდა ადგილობრივად და მხოლოდ საქართველოში გავრცელებულად, რადგან უამრავი დღეს ჩვენში გავრცელებული საკვები. ევროპასა და აზიაში მხოლოდ მაშინ შემოვიდა, როდესაც კოლუმბმა ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა და დღეს უიმსაკვებოდ წარმოუდგენლად ითვლება არა მარტო ქართველთა, არამედ ევროპელთა და აზიელთა კვებითი რაციონი. ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ ევროპაში და შემდგომ მთელ მსოფლიოში გავრცელდა **თამბაქო, ყავა, კაკაო, პომიდორი, კარტოფილი, მიწის თხილი, სიმინდი, ვანილი, ჩილეური წიწაკა, ანანასი, ქინაქინა, ორქიდეა** და სხვა.

რით ვიკვებებოდით ქართველები და რა სახის საკვები ჰქონდათ რაციონში ჩვენს წინაპრებს? უნდა აღინიშნოს, რომ ნანადირევისა და შინაური ცხოველების ხორცის გარდა, ჩვენი კვების რაციონში მრავლად იყო მდინარის თევზი, ზღვის პროდუქტები და ადგილობრივი ჯიშის მარცვლეულ-ფხალეული. მარცვლეულიდან ყველაზე ძველ საკვებად **ხორბალი** ითვლება, რომელიც საქართველოში იმ დროიდან მოჰყავდათ და საკვებად იყენებდნენ, როდესაც მსოფლიოს უამრავი ქვეყანა არც არსებობდა. საქართველოში, სანამ ამერიკიდან შემოტანილი სიმინდი გავრცელდებოდა, საკვებად **ღომს** იყენებდნენ. ეს მცენარეული კულტურა გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ღომის მარცვლები აღმოჩენილია ქართლში, არუხლოს არქეოლოგიური გათხრების დროს, რომელიც IV-V ათასწლეულებით თარიღდება. ამზადებდნენ ღომის ფაფას, რომელიც მარგებელი და დასანაყრებელი იყო. ბევრი უცხოელი მოგზაური თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ ღომის ფაფას დასავლეთ საქართველოში დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ, ვიდრე ხორბლის პურს. მოიხმარდნენ **ფეტვსაც**, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი მარცვლეული კულტურა იყო. ფეტვის და ღომის ჩალას იყენებდნენ საქონლის საკვებად, მისი კონებისგან ხურავდნენ სახლს. ფეტვისგან აცხობდნენ მჭადს, კვერებს, ტკბილეულს, კვებავდნენ საქონელსა და შინაურ ფრინველებს. საქართველოში ხუთნაირი ფეტვი იყო გავრცელებული. საუკეთესოდ ითვლებოდა ფეტვით ნაკვები საქონლის რძე და მისგან დამზადებული ყველი. ფეტვი შემორჩენილია ზემო სვანეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯის სამშობლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ითვლება, იგი საქართველოში უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, XVII საუკუნის საქართველოში უხვად მოჰყავდათ ბრინჯი დასავლეთ საქართველოში. მისგან ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ფაფებს, ცნობილია ბრინჯისგან დამზადებული შეჭამანდი „მასულაყა“. ბრინჯი მოჰყავდათ საინგილოშიც.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ბრინჯი აზიიდან ირანში შემოვიდა და იქიდან გავრცელდა საქართველოში.

საქართველო უხსოვარი დროიდან ხორბლის წარმოების ბელელად ითვლებოდა. არსებობდა და არსებობს უამრავი ადგილობრივი ჯიში – იფქლი, დოლის პური, დიკა და სხვა. რაც შეეხება ზანდას და მახას – ეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იშვიათი ჯიშია, რომელიც ახლაც შემონახულია რაჭა-ლეჩხუმში. მისგან გამომცხვარი პური თეთრი და ყუათიანია, თუმცა საქართველოს ბევრ მხარეში ხორბლის სახეობები მხოლოდ ტოპონიმებად შემორჩა.

ქერი ხორბლის მსგავსად უძველესი კულტურაა, მისი ნარჩენები აღმოჩენილია ქვემო ქართლში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მარცვლები ძველი ათასწლეულის IV-V ათასწლეულებს განეკუთვნება. ქერს არა მარტო საკვებად, არამედ ლუდის წარმოებისთვისაც იყენებდნენ, კვებავდნენ საქონელს.

ნიკო ფიროსმანი „კალოს ლეწვა“

ქერთან ერთად მოჰყავდათ **ჭვავი**, რომელიც მაღალმთიან კულტურად ითვლებოდა. დღეს მისგან დიეტურ პურს აცხობენ.

ფეტვისნაირებს განეკუთვნებოდა **სორგო**, რომელიც მაღალი შაქრიანობით გამოირჩეოდა. იყენებდნენ საქონლის საკვებადაც, მისი ჯიშსახესხვაობაა ჯიქურა, რომელიც ახლაც მოჰყავთ და მისგან ცოცხს ამზადებენ.

საქართველოში, მარცვლეულის გარდა, მრავლად ხარობდა პარკოსანი კულტურები – **უგრეხელი, ბარდა, ოსპი, ცულისპირა.** მათი ველური წინაპრები ბუნებაში ამჟამადაც გვხვდება, მაგალითად, რაჭაში მოჰყავთ ცულისპირა და უგრეხელი.

ბარდა საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი და საბოსტნე კულტურად ითვლებოდა. მისგან სამარხვო საკვებს ამზადებდნენ. ლობიოს გავრცელებამ იგი საქართველოს ბარიდან ძირითადად განდევნა და შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. მისი მწვანე პარკი ცერცვთან ერთად გამოიყენება. ცერცვი IV-V ათასწლეულიდანაა გავრცელებული და ერთ-ერთ უძველეს საკვებად ითვლებოდა. მას ნესტიანი ადგილები უყვარს, მრავლად მოჰყავდათ დასავლეთ საქართველოში.

„ძველი პლანეტის“ მოსახლეობის ერთ-ერთ საკვებად **მუხუდო** ითვლებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი ერთ-ერთი უმთავრესი საკვებია. მუხუდო გვალვაგამძლე მცენარეა და მოჰყავდათ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. არსებობდა სამი ჯიშის მუხუდო – წითელი, თეთრი და გოგრა მუხუდო, რომლის მარცვლებიდან ამზადებდნენ ნოყიერ საკვებს, გამხმარ მარცვლებს ფქვავდნენ და აცხობდნენ მჭადს, ჩალისგან კვებავდნენ შინაურ საქონელს. სამწუხაროდ, მუხუდო ჩაანაცვლეს სოიოთი, რომელსაც ხალხი ძველი წესით მაინც მუხუდოს ეძახის. მუხუდოში სოიოსგან განსხვავებით ცილების შემცველობა 31,2 პროცენტია, ხოლო ცხიმებისა – 25 პროცენტი. იგი ნიადაგში ზრდის აზოტის შემცველობას.

გავრცელებული იყო **ძაძა**, იგივე „ძაძალობიო“, შავკეკლიანი პარკოსანი კულტურა, რომელმაც სახელწოდებაც მარცვლის ფერისგან მიიღო. იგი მდიდარია ნახშირწყლებით, ადვილი მოსახარშია. საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობს, მის სამშობლოდ კი ძველი ეგვიპტე ითვლებოდა და სწორედ ეგვიპტელი მეომრების საკვები იყო.

მთელ საქართველოში მოჰყავდათ **ოსპი**, რომლის სამშობლოდაც ჩვენი მეზობელი წინა აზია ითვლება. ოსპის წვნიანი ძირითად საკვებს წარმოადგენდა, ახლა შემორჩენილია მხოლოდ სვანეთში.

ფართოდ გავრცელებული იყო **სელი**, იგი ადგილობრივი ჯიშია და მისი სამშობლო ძველი კოლხეთია. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია სელის ბოჭკოსგან დამზადებული სამოსის ნარჩენები, ზეთის სახდელი დაზგა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნისაა. ჰეროდოტეს ცნობით, მაშინდელ მსოფლიოში სელისგან დამზადებული კოლხური და ეგვიპტური ქსოვილები საუკეთესოდ მიიჩნეოდა, ასევე მაღალხარისხოვნად ითვლებოდა მისგან გამოხდილი ზეთიც, სწორედ ამიტომ ჰეროდოტე ამ ორ უძველეს ხალხს ერთმანეთის მონათესავად თვლიდა.

მოჰყავდათ **კანაფი**. საქართველოში ორი სახის კანაფი იყო – საბოჭკოე (დედალი), და სანაყოფე (მამალი), საბოჭკოესგან ქსოვდნენ სათევზაო ბადეებს, ტომრებს, ხოლო სანაყოფეს იყენებდნენ საკვებად, ხდიდნენ ზეთს.

ძველქართულ კულტურად ითვლებოდა **ხანჭოლა** – მისი სახელწოდებიდან მოდის (ან პირიქით) სოფელ ხვანჭკარას სახელიც. იყო ოთხი სახეობის ხანჭოლა – წვრილთესლიანი, ყვითელთესლიანი, ჭრელთესლიანი და თეთრი. მისი მარცვალი მომწარო გემოსია. ყურადსაღებია, რომ ძველკოლხურად (მეგრულად) ცერცვს „ხანჭს“ უწოდებენ. იგი მდიდარია ცილებით (30-50%). წყალში მოხვედრისას და მოხარშვისას სიმწარეს კარგავს.

უნდა ვახსენოთ **ბამბაც,** რომლის სამშობლოდაც ჩინეთი მიიჩნევა, მაგრამ უძველეს დროს საქართველოშიც მოჰყავდათ ბამბა და დიდად იყო გავრცელებული ბამბის კულტურა, იგი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ძალიან წააგავდა ჩინურ ბამბას. მისგან ხდიდნენ ზეთს, ნაყოფისგან ამზადებდნენ კარაქის (მარგარინის) მსგავს მასას, რასაც საკვებად იყენებდნენ.

საქართველოში მრავლად იყო მხალეული მცენარეები, სხვადასხვა სახის ხილი, კენკრა. ასე რომ, ქართული კულინარია ოდითგან იყო ცნობილი. ჩვენი ქვეყნისთვის დღეს ძირითადი გამოწვევაა სასურსათო უსაფრთხოება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ამისთვის კარგი იქნება კიდევ უფრო ავაღორძინოთ სოფლის მეურნეობა, აღვადგინოთ როგორც მარცვლეული, ისე ძველი პარკოსანი კულტურა, რაც უძველესი დროიდან საქართველოში ხარობდა და დღესაც შესაძლებელია წარმოება.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.


ღომი

მუხუდო


ოსპი

კანაფი

ბარდა

ნონა გაფრინდაშვილის 5-მილიონიანი პარტია

(პირველი გვერდიდან)

სარჩელის შინაარსი (გაფრინდაშვილის პოზიცია)

გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ სერიალში ფაქტები შეგნებულადაა შეცვლილი. იგი აღნიშნავს:

„იქ გამოგონილი ფიგურაა ცენტრში და მერე უცებ ნამდვილი ადამიანი შემოჰყავთ ჩემი სახით. ეს შეცდომაც არ იყო. მწერალი, ვისაც ეს წიგნი აქვს დაწერილი და რომლის მიხედვითაც ფილმი გადაიღეს, ყველაფერს სწორად წერს. წერს, რომ მამაკაცებს ვეთამაშებოდი. მართლა ადრეული ასაკიდან ვთამაშობდი მათთან, სანამ პირველ საერთაშორისო ტურნირზე გავიდოდი, მანამდეც. პირველმა მივიღე მამაკაცთა შორის დიდოსტატის წოდება. ამ დროს სერიალში ამბობენ, რომ მამაკაცებთან არასდროს მითამაშია.“

ნონა გაფრინდაშვილმა სარჩელი კალიფორნიის სასამართლოში 16 სექტემბერს შეიტანა. მასში დეტალურადაა გაწერილი ლეგენდარული მოჭადრაკის სპორტული მიღწევები და ამერიკულ სასამართლოს აცნობს გაფრინდაშვილის ფიგურის მასშტაბურობას.

რაც შეეხება უშუალოდ დავის საგანს, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სარჩელის მე-9 და მე-10 პუნქტები. კერძოდ, მე-9 პუნქტში მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ „ნეტფლიქსმა“ შეგნებულად და მიზანმიმართულად იცრუა, რათა გაეზარდა დრამა, თითქოს მისმა ფიქტიურმა პერსონაჟმა შეძლო იმის გაკეთება, რაც არც ერთ ქალ მოჭადრაკეს მანამდე არ გაუკეთებია, მათ შორის — არც გაფრინდაშვილსაც. სარჩელში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამბავში, რომელიც უნდა ყოფილიყო შთაგონება ქალებისთვის, „ნეტფლიქსმა“ შეგნებულად დაამცირა ერთი რეალური ქალბატონი, რომელსაც რეალურად ჰქონდა ჩატარებული არაერთი შეხვედრა მამაკაც მოთამაშეებთან იმავე პერიოდში.

ხოლო მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ მინისერიალში გაფრინდაშვილი მოხსენიებულია რუს მოჭადრაკედ მაშინ, როდესაც მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ იგი ქართველია.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებში მითითებულია ის დეტალები, რამაც სადავო გახადა აღნიშნული რეპლიკა. კერძოდ, მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ 1962-63 წლებში გაფრინდაშვილი რეგულარულად ასპარეზობდა და ამარცხებდა ვაჟ მოთამაშეებს, ხოლო 1965 წელს მან ერთდროულად ითამაშა 28 მამაკაცის წინააღმდეგ.

64-ე პუნქტში, სადაც საუბარია ფაქტობრივ უზუსტობებზე, მოსარჩელეები პარალელს ავლებენ იმ წყაროსთან, რომელსაც დაეფუძნა მინისერიალის სიუჟეტი. კერძოდ, უოლტერ ტევისი თავის წიგნში ნონა გაფრინდაშვილზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ის არაერთხელ შეხვედრია ყველა იმ დიდოსტატს, რომელიც ტურნირში მონაწილეობდა, ხოლო „ნეტფლიქსის“ ვერსიაში ნათქვამია, რომ მას არასდროს უთამაშია მამაკაცი მოჭადრაკის წინააღმდეგ.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას, გაფრინდაშვილი დარღვეული უფლებისა და სარჩელის ხარჯების შესაბამისად კომპენსაციის სახით ითხოვს სულ მცირე 5 მილიონ დოლარს. გარდა ამისა, მოთხოვნის საგანს წარმოადგენს „დედოფლის გამბიტში“ დაშვებული ფაქტობრივი უზუსტობის გასწორება.

BLB-ის პოზიცია

BLB ქართული იურიდიული კომპანიაა, რომელიც 1995 წელს დაარსდა და 25 წელია მონაწილეობს ადგილობრივი თუ გლობალური მასშტაბის დავებში. კომპანიის მმართველი პარტნიორები გაფრინდაშვილის სარჩელს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ და აქვთ მოლოდინი, რომ სასურველი შედეგი დადგება.

კომპანიის მმართველი პარტნიორი კახა შარაბიძე საქმესთან დაკავშირებით „პალიტრანიუსის“ ეთერში განმარტავს:

„მიუხედავად იმისა, რომ უფლება აშკარად დარღვეული იყო, თავდაპირველად გაფრინდაშვილის თვითმიზანი არ ყოფილა სარჩელის შეტანა. სწორედ ამიტომ, ამერიკელი პარტნიორების შუამავლობით პირველი კომუნიკაცია „ნეტფლიქსთან“ მორიგების მიზნით შედგა, თუმცა კომპანიისგან უარი მივიღეთ, რის შემდეგაც გაფრინდაშვილმა გადაწყვიტა ბრძოლის გაგრძელება.“

BLB-ს პარტნიორი, მაია მწარიაშვილი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში დავის შესახებ საუბრისას ამბობს: **„ეს უპრეცედენტოდ მასშტაბური დავაა მხარეების წონითი კატეგორიის გათვალისწინებით. ერთ მხარესაა მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდა, ხოლო მეორე მხარეს — უდიდესი მედიამაგნატი. დღეიდან ქალბატონმა ნონამ ყველა ეტაპზე მოიგო მის ღირსებასთან, პროფესიასთან დაკავშირებული პარტია და ახლა სამართლებრივად ჩვენ უნდა დავიცვათ მისი ღირსება, პატივი და რეპუტაცია. დავის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, მიგვემართა არაერთი სხვა ქვეყნის სასამართლოსთვის, თუმცა ქალბატონმა ნონამ ყველაზე რთული გზა აირჩია — მას სურს მოიგოს სამართლიანობისთვის ბრძოლა იქ, სადაც კინოინდუსტრიის ჰაბია და დეფამაციის საკითხი ყველაზე მაღალი სტანდარტებით რეგულირდება“.**

კომპანიის კიდევ ერთი პარტნიორი, რუსუდან მაისურაძე „TV პირველთან“ გაკეთებულ ინტერვიუში ასევე დავის მასშტაბურობასა და მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი განმარტებით, ეს არის ღირსების საქმე არა მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილისთვის, რომელიც შეურაცხყოფილი იყო „ნეტფლიქსის“ მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებით, არამედ სრულიად საქართველოს საზოგადოებისთვის. მაისურაძე ასევე დასძენს, რომ თავად კალიფორნიის სასამართლოში სარჩელის შეტანა უკვე არის პირველი გამარჯვება. მისი თქმით, არსებობს მყარი სამართლებრივი საფუძველი, რათა სასურველი შედეგი დადგეს.

„ნეტფლიქსის“ პოზიცია

სარჩელის შეტანის შემდეგ „ნეტფლიქსმა“ თავისი პოზიცია მალევე გააცნო საზოგადოებას. კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ: **„ქალბატონი გაფრინდაშვილისა და მისი ბრწყინვალე კარიერის მიმართ დიდი პატივისცემა გაგვაჩნია, თუმცა, ვთვლით, რომ მისი მოსაზრებები უსაფუძვლოა. ამდენად, ჩვენს პოზიციებს ბოლომდე დავიცავთ.“**

გარდა ამისა, 2021 წლის 2 ნოემბერს „ნეტფლიქსმა“ ახალი განცხადება გააკეთა, რომელშიც აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით გამოხატვის თავისუფლებაზე მიუთითებს. იურიდიული ახალი ამბების სააგენტოს LAW360-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: **„დედოფლის გამბიტი“ მხატვრული ნამუშევარია და სიტყვის თავისუფლების ხელყოფა ნებისმიერი სახით დაუშვებელია. ნონა გაფრინდაშვილის შესახებ სერიალში არც ერთი ტყუილი არ თქმულა და თითოეული ფრაზა სიმართლეს შეესაბამება. ...სანამ სერიალი შეიქმნებოდა და რეჟისორებმა ჭადრაკის არაერთ ექსპერტთან გაიარეს კონსულტაცია და ისინი მათ რჩევებს იყენებდნენ. ასე რომ, ნონა გაფრინდაშვილს არ შეუძლია დამაჯერებელი მტკიცებულებებით დაამტკიცოს, რომ „ნეტფლიქსი“ იტყუება. იგი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ცდილობს.“**

გამოხმაურება ქართულ მასმედიაში

ქართულ მედიაში ფაქტობრივად არ დარჩენილა გამოცემა, რომელმაც ვრცელი სტატია არ მიუძღვნა გაფრინდაშვილისა და „ნეტფლიქსის“ დავას. აი, რამდენიმე ამონარიდი:

გაფრინდაშვილი ამასაც მოიგებს? — Netflix-ი დათმობას არ აპირებს, — ამბობს „რადიო თავისუფლება“.

სტატიაში, გარდა ინფორმაციისა, გამოხატულია ორივე მხარის პოზიცია. მასში განხილულია როგორც საქმის დეტალები, ასევე სუბიექტები. სტატიის ავტორს მოჰყავს ციტატა სერიალის იმ მონაკვეთისა, რომელიც დავის საგნად იქცა. აქვე შემოთავაზებულია გაფრინდაშვილის ადვოკატისა და ხელოვნებათმცოდნე თეო ხატიაშვილის პოზიციაც.

„რა თქმა უნდა, რეჟისორს აქვს ინტერპრეტაციის უფლება, მაგრამ გასათვალისწინებელია, როგორ იგება სიუჟეტის ქარგა. ფილმში, სადაც არის რეალური ატმოსფერო, ნაჩვენებია ცივი ომი, პერსონაჟები საჭადრაკო სფეროში გამოკვეთილი ლიდერების პროტოტიპებს წარმოადგენენ, ნონა გაფრინდაშვილი კონკრეტული სახით შემოდის. სხვა ყველაფერი თითქოს რეალობას მიჰყვება, ყოველ შემთხვევაში, მცდარი არაა,“ — განმარტავს იგი.

გაფრინდაშვილი ნეტფლიქსს უჩივის „სექსიზმისა“ და რუსად მოხსენიებისთვის — ამ სათაურით გამოაქვეყნა „ნეტგაზეთმა“ ცნობა გახმაურებული დავის შესახებ. ამავე გამოცემამ არსებულ დავას მეორე სტატიაც მიუძღვნა, სადაც შემოთავაზებულია იურისტის პოზიცია სარჩელის პოტენციალთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ ოჰაიოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, იურისტ გიორგი გოცირიძეს მიაჩნია, რომ დავის პერსპექტიულობა უნდა განვიხილოთ ამერიკის, როგორც პრეცედენტული სამართლის მქონე ქვეყნის კონტექსტში.

„აშშ არის პრეცედენტული სამართლის ქვეყანა და სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა შემდგომში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები არის იმის მსგავსი, რაც უკვე განიხილა სასამართლომ“, — აღნიშნავს იურისტი. მოჭადრაკის საქმეზე საუბრისას. იურისტი იხსენებს ბრიტანელ-ამერიკელი მსახიობის, ოლივია დე ჰავილანდის სარჩელს ტელეკომპანია FX-ის წინააღმდეგ. ამის მიზეზი სერიალის „Feud“(მტრობა) ერთ-ერთი ეპიზოდი გახდა, რომელიც ჰავილანდის ცხოვრებასაც ეხება. მასში ჰავილანდის როლის შემსრულებელი კეტრინ ზეტა ჯონსი ახმიანებს რეპლიკებს, რომლებიც, დე ჰავილანდის თქმით, თავად არასდროს უთქვამს რეალურ ცხოვრებაში. კეტრინ ზეტა ჯონსი, რომელიც ჰავილანდის როლს თამაშობს, ამ ფილმში ინტერვიუს აძლევს ჰოლივუდში ქალების დისკრიმინაციის შესახებ, ამასთან, თავის დას მოიხსენიებს, როგორც ძუკნას („Bitch“) და ფრენკ სინატრაზე ამბობს, რომ ის ლოთია. **„ოლივია დე ჰავილანდმა კალიფორნიის სასამართლოში იჩივლა. პირველ ინსტანციაში დავა ჰავილანდის სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა, უზენაეს სასამართლოს კი სარჩელი წარმოებაში აღარც მიუღია“,** — დასძენს გოცირიძე. მისი თქმით, მსგავსი პრეცედენტი ართულებს დავის პერსპექტივებს, თუმცა შესაძლოა, რომ სასამართლომ სხვაგვარი გადაწყვეტილებაც გამოიტანოს.

გამოხმაურება უცხოურ მასმედიაში

ლეგენდარული მოჭადრაკის უთანხმოება მსოფლიოს წამყვან მედიამაგნატთან გლობალური მასშტაბითაც რეზონანსული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ პირველი, ვინც „ნეტფლიქსის“ წინააღმდეგ სარჩელის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, „ნიუ იორკ ტაიმსი“ იყო.

ეს შეთანხმებით მოხდა, ქართულმა მხარემ სწორედ „ნიუ იორკ ტაიმსს“ მიაწოდა ექსკლუზიური ინფორმაცია. შესაბამისად, ეს გამოცემა პირველწყაროდ იქცა ქართული და უცხოური მედიასაშუალებებისთვის.

„ჭადრაკის პიონერი ჩივის და ამბობს, რომ ის „დედოფლის გამბიტში“ დაამცირეს“, — ვკითხულობთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ ჰედლაინში. ამავე სტატიას აქვს ქვესათაურიც, რომელიც ამბობს: „ნონა გაფრინდაშვილმა, ჭადრაკის ისტორიულმა ჩემპიონმა, „ნეტფლიქსს“ უჩივლა სერიალში გაჟღერებული ფრაზის გამო, სადაც მის სახელს ახსენებენ და ამბობენ, რომ ის მამაკაცებს არასდროს დაპირისპირება. სინამდვილეში კი იგი მათ ხშირად ეთამაშებოდა.“

„ნეტფლიქსის“ სერიალში ნათქვამია, რომ პირველ ქალ დიდოსტატს არასდროს უთამაშია მამაკაცების წინააღმდეგ. ახლა ის ჩივის“, — გვამცნობს ამერიკული „ვაშინგტონ პოსტი“ და მოჰყავს დეტალები საქმის შესახებ.

„ჭადრაკის საბჭოთა ჩემპიონი ედავება „ნეტფლიქსს“ და მას სექსიზმში ადანაშაულებს“, — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ცნობილი ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“.

გაფრინდაშვილი — „ნეტფლიქსის“ საქმეს გამოეხმაურა ლეგენდარული რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი და სამგზის ტრიუმფატორი **ანატოლი კარპოვი.** კარპოვმა დაიცვა გაფრინდაშვილის პოზიცია და გააკრიტიკა ასევე ლეგენდარული **გარი კასპაროვი,** რომელიც „დედოფლის გამბიტის“ კონსულტანტი იყო. მისი თქმით, კასპაროვმა შესანიშნავად იცოდა გაფრინდაშვილის მიღწევების შესახებ და მას ეს შეცდომა არ უნდა მოსვლოდა:

„არ ვიცი, კასპაროვს ასეთი შეცდომა როგორ მოუვიდა, ის ხომ ფილმის კონსულტანტი იყო. შეიძლება, ყველა ეპიზოდი არ უნახავს ან ყველაფერს არ ეუბნებოდნენ, თორემ მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ ნონა გაფრინდაშვილი დიდოსტატი გახდა როგორც ქალებში, ასევე — მამაკაცებში. ის მამაკაცი დიდოსტატის წოდებას ვერ მიიღებდა, მამაკაცთა ტურნირებში რომ არ ეთამაშა. ასე რომ, ამ ამბავში ნონა სრულიად მართალია“, — აღნიშნა კარპოვმა.

გაფრინდაშვილს მხარს უჭერენ ქართველი თუ უცხოელი მოჭადრაკეებიც. უკრაინელი დიდოსტატი ანასტასია კარლოვიჩი ტვიტერზე გაფრინდაშვილის მხარდამჭერ პოსტს აქვეყნებს: **„მსოფლიოში ყველა მოჭადრაკემ იცის, რომ ეს (სერიალში გაჟღერებული ფრაზა) არ არის სიმართლე. ნონა ნამდვილი ლეგენდაა!“,** — წერს იგი.

პოლონეთში მცხოვრები ქართველი დიდოსტატი ქეთი წაწალაშვილი ტვიტერზე წერს: **„დედოფლის გამბიტი“ ნამდვილად საუკეთესო სერიალია, ხოლო ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის ცოცხალი ლეგენდაა და მე ვამაყობ ჩემი სამშობლოთი — საქართველოთი. არ არის საჭირო ნეგატიური დამოკიდებულება ნონას მიმართ. იმედი მაქვს, ორივე მხარე საუკეთესო გამოსავალს იპოვის.“**

ტვიტერის მომხმარებელი ენტონი შოუ თავის გვერდზე ეხმიანება „ნეტფლიქსის“ სერიალში გაჟღერებულ დეზინფორმაციას: **„დედოფლის გამბიტში ნონა გაფრინდაშვილი წარმოდგენილია, როგორც ქალი მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც არასდროს უთამაშია მამაკაცების წინააღმდეგ, რაც აბსოლუტური სისულელეა. სამარცხვინოა ვინმეს მიღწევების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება.“**

ყველა, ვინც იცნობს ნონა გაფრინდაშვილს, ვინც იცის მის მიერ გავლილი სასახელო სპორტული გზა, ვინც მრავალი წლის მანძილზე გულშემატკივრობდა და გულშემატკივრობს მას, დარწმუნებულია, რომ ნონა გაფრინდაშვილი ამ პარტიასაც მოიგებს.

დავით ნიკოლაშვილი

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბელა დუმბაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბელა დუმბაძე (პ/ნ 01017007623), თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქ. №34, მთაწმინდის ქ. №7, სართული 3

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქ. №34, მთაწმინდის ქ. №7, სართული 3 (საკადასტრო კოდი: 01.15.05.039.006.01.520).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 93342.05 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 10 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 18 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76491622;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 764916
6. **მოვალე:** ბელა დუმბაძე (პ/ნ 01017007623), თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქ. №34/7; სართ. 3;
არჩილ დუმბაძე (პ/ნ 01017014538), თბილისი, დიმიტრი ყიფიანის ქ. №34/7; სართ. 3;
გიორგი დოლიძე (პ/ნ 33001052628), ოზურგეთი, სოფელი ბოხვაური;
მინური დუმბაძე (პ/ნ 17001001168), ოზურგეთი, სოფელი ბოხვაური.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76491622; ლოტის ნომერი: 764916).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 18 იანვრის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დიანა ოზმანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი (საკადასტრო კოდი: 81.10.29.479).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9586.67 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 10 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 21 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76492022;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 764920
6. **მოვალე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76492022; ლოტის ნომერი: 764920).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 21 იანვრის 10:00 საათამდე.

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა, გაზეთ „პოეზიის“ რედაქტორი, იაკობ გოგებაშვილისა და შიო მღვიმელის პრემიების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ეთერ ფაცურია

და სამძიმარს უცხადებს მის სახელოვან ვაჟს ვლადიმერ ალფენიძეს.

ნიკა ქაცარიძე

43 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი ნიკა ქაცარიძე. ინფორმაციას რუსთაველის თეატრი ავრცელებს.

ნიკა ქაცარიძე 2005 წლიდან დღემდე იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე განსახიერებული აქვს არაერთი როლი. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „შობის მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ“, „დარისპანის გასაჭირი“, „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“, „სალამურა“, „პატარა უფლისწული“ და სხვა.

გარდა თეატრალური როლებისა, ნიკა ქაცარიძეს ასევე შესრულებული აქვს კინოროლები. მონაწილეობდა სხვადასხვა სერიალში. მაყურებელში დიდი სიყვარული მოიპოვა მისმა როლმა ტელესერიალ „შუა ქალაქში“, სადაც მან ამირანის როლი დიდი პროფესიონალიზმითა და ოსტატური გარდასახვით შეასრულა. მონაწილეობდა ტელესერიალ „ტიფლისში“.

ციციშვილის ბავშვთა კლინიკაში კორონავირუსით 4 თვის ჩვილი გარდაიცვალა

კორონავირუსს ოთხი თვის ჩვილი ემსხვერპლა. შემთხვევა ციციშვილის ბავშვთა კლინიკაში მოხდა. ცნობილია რომ ახალშობილი მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. მას გულის თანდაყოლილი მანკი ჰქონდა.

„4 თვის ჩვილი ჩვენთან 31 დეკემბერს, უკიდურეს მდგომარეობაში შემოვიდა. მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. მას ჰქონდა კომბინირებული თანდაყოლილი მანკი. იყო დაბადებული დღენაკლული, ძალიან დაბალი წონით. დაბადების შემდეგ ეს ბავშვი სულ მკურნალობდა რეანიმაციულ განყოფილებაში. ეს მანკი იყო არაოპერაბელური. ერთი ჩარევა უკვე გაკეთებული ჰქონდათ ამ მანკის გამო და ბავშვის მდგომარეობა შემოსვლისთანავე უმძიმესი იყო. მას დაერთო კოვიდინფექცია და ამ ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა“, – განაცხადა კლინიკის სამედიცინო დირექტორმა მაია ჩხაიძემ.

ბოლო 6 დღის განმავლობაში ციციშვილის კლინიკაში ეს ბავშვის გარდაცვალების უკვე მეორე შემთხვევაა. ამ ეტაპზე კლინიკაში 50-მდე პაციენტი მკურნალობს, მათ შორის 10 რეანიმაციაშია მოთავსებული. მართვით სუნთქვაზე არცერთი პაციენტი არ იმყოფება, თუმცა ერთის მდგომარეობა საყურადღებოა.

4 ათასი აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე რჩება

დიდთოვლობის გამო მაღალმთიან აჭარაში ოთხი ათასი აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე რჩება. უამინდობამ ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა. შუახევში, ქედასა და ხელვაჩაურში რამდენიმე ადგილზე მეწყრული პროცესები განვითარდა.

სპეციალური ტექნიკით გაწმენდითი სამუშაოები სისტემატურად მიმდინარეობს. ხულოში ცენტრალური გზა გაწმენდილია, თუმცა ტრანსპორტის გადაადგილება რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულთან დამაკავშირებელ გზაზე კვლავ შეფერხებულია.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ წᲔᲚᲡ 522 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲘ. ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ 6 ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲔᲑᲘ Ceratosuchops inferodios ᲓᲐ Riparovenator milnerae, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲨᲢᲔᲑᲘᲪ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ, ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲣᲐᲘᲗᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ.

291 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲜᲘᲩᲐᲑᲤᲔᲮᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲖᲝᲛᲐᲪ 10 ᲛᲘᲚᲘᲛᲔᲢᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲙᲠᲔᲕᲔᲢᲔᲑᲡ ᲰᲒᲕᲐᲜᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲔᲜ. ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲐ 90 ᲮᲝᲭᲝ, 52 ᲙᲠᲐᲖᲐᲜᲐ, 13 ᲙᲝᲦᲝᲡ ᲛᲐᲢᲚᲘ, 7 ᲙᲘᲑᲝᲠᲩᲮᲐᲚᲐ ᲓᲐ 6 ᲑᲣᲖᲘᲐ.

ᲛᲣᲛᲘᲐ ᲢᲝᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲗ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ, ᲙᲐᲘᲠᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲤᲐᲠᲐᲝᲜ ᲐᲛᲔᲜᲰᲝᲢᲔᲞ I-ᲘᲡ ᲛᲣᲛᲘᲐ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲠᲫᲐᲚᲘ ᲜᲘᲚᲐᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲘᲐᲗ. ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲢᲝᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲔᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲘᲜᲕᲐᲖᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ 33 ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲛᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ.

ანალიზით დადგინდა, რომ ამენჰოტეპ I პირველი ფარაონი იყო, რომელიც გადაჯვარედინებული ხელებით მუმიფიცირდა. ამასთან, იყო ბოლო ფარაონი, რომელსაც თავის ქალიდან ტვინი არ ამოუღეს. ტომოგრაფიით გაირკვა, რომ ფარაონი, რომელიც მმართველის ტახტს 21 წელი იკავებდა, 35 წლის ასაკში, მიღებული დაზიანების ან ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲢᲙᲐᲩᲔᲜᲙᲝ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ Netflix-ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ — „ᲔᲛᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ“ (Emily in Paris) ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲡ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲡ.

სერიალის სიუჟეტის თანახმად, ამერიკელი გოგო, რომლის როლსაც ლილი კოლინსი ასრულებს, პარიზში ჩადის სამუშაოდ. საფრანგეთის დედაქალაქში, მთავარ გმირს ხვდება კიეველი პეტრა, რომელიც მაღაზიებში ქურდობს, არ აქვს გემოვნება, ჩაცმის დახვეწილი სტილი და დეპორტაციის ეშინია.

„ესაა უკრაინელი ქალის კარიკატურული სურათი, რომელიც მიუღებელი და შეურაცხმყოფელია“, — ამბობს უკრაინის კულტურის უწყების ხელმძღვანელი. უკრაინული მედიის ცნობით, ტკაჩენკომ Netflix-ს წერილი უკვე გაუგზავნა. სერიალში პეტრას როლს უკრაინელი მსახიობი დარია პარჩენკო ასრულებს.

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲡ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝᲓ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ

ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲣᲐᲠᲘ თქვა Nirvana-Ს ᲐᲚᲑᲝᲛ Nevermind-ᲘᲡ ᲧᲓᲐᲖᲔ ᲩᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲜᲡᲔᲠ ᲔᲚᲓᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲞᲝᲠᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲓᲐ

გასული წლის დეკემბერში მოპასუხეთა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ელდენის პრეტენზიები დაუსაბუთებელია და აღნიშნეს, რომ მან არაერთხელ გაიმეორა აუზში გადაღებული ცნობილი ფოტო, მკერდზე კი ჯგუფის ალბომის სახელწოდების გამოსახულებით ტატუ აქვს გაკეთებული. ელდენს ამ არგუმენტებზე პასუხი 30 დეკემბრამდე უნდა გაეცა, თუმცა მან ეს არ გააკეთა. ამიტომ, სასამართლომ მისი სარჩელის არსებით განხილვაზე უარი თქვა. 30 წლის ელდენი ჯგუფის ცნობილი ალბომის Nevermind-ის ყდის გმირია. მასზე შიშველი ბავშვი აუზში ცურავს და კაუჭზე მიმაგრებული დოლარიანი კუპიურისკენ იშვერს ხელს. ფოტოს გადაღებისას ელდენი 4 თვის იყო. ელდენმა სასამართლოში სარჩელი 2021 წლის აგვისტოში შეიტანა. მისი განცხადებით, მშობლებმა ფოტოსესიაში მისი მონაწილეობის სანაცვლოდ 200 დოლარი მიიღეს, თუმცა არასდროს გაუციათ თანხმობა ფოტოს კომერციული გამოყენებისთვის. Nevermind-ი 1991 წლის სექტემბერში გამოვიდა და ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუსიკალური ალბომი გახდა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

4-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ. 10,79 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲡ ᲢᲐᲘᲰᲣᲡ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ, ᲫᲘᲐᲜᲡᲣᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲓᲐᲜ 50 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲨᲘ, ᲢᲐᲘᲰᲣᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

გვირაბის მშენებლობა ბიუჯეტს 9,9 მილიარდი იუანი (1,56 მილიარდი დოლარი) დაუჯდა, მშენებლობა კი 2018 წლის იანვარში დაიწყო. გვირაბის მშენებლობისას 2 მილიონზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი იყო გამოყენებული. გვირაბის სიგანე 17,45 მეტრია და მას მოძრაობის 6 ზოლი აქვს.

„ᲗᲐᲚᲘᲑᲐᲜᲗᲐ“ ᲛᲐᲜᲔᲙᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲭᲠᲐ

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲗᲐᲚᲘᲑᲔᲑᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲜᲔᲙᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲔᲗᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ ᲘᲡ ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲙᲐᲪᲠ ᲓᲝᲒᲛᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ ᲰᲔᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ, ᲛᲝᲔᲙᲕᲔᲗᲐᲗ ᲛᲐᲜᲔᲙᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲘᲡᲚᲐᲛᲘᲡᲢᲛᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲞᲘᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲣᲤᲔᲑᲘ „ᲙᲔᲠᲞᲔᲑᲘᲐ“.

კერპთაყვანისმცემლობა ან კერპთაყვანისცემა ისლამში მძიმე ცოდვად ითვლება, რომელიც კრძალავს ვინმეს ან რაიმეს თაყვანისცემას გარდა ალაჰისა, რომელიც მათთვის ერთადერთ ღმერთად ითვლება. ბოლო კვირების განმავლობაში ისლამისტებმა აუკრძალეს ქალებს შორ მანძილზე თანმხლები მამაკაცის გარეშე მოგზაურობა და აკრძალეს მანქანაში ყველანაირი მუსიკის მოსმენა.

ᲝᲠᲘ ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘ ᲛᲝᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

NASA-Ს ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ. ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘ 2013 6348 180 ᲛᲔᲢᲠᲐᲛᲓᲔ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘᲡᲐᲐ, (ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲝᲗ ᲑᲘᲒ-ᲑᲔᲜᲡ), ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘ — 7482 (1994 PC1) ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘᲗ, ᲝᲠᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲔᲛᲞᲐᲘᲠ ᲡᲗᲔᲘᲗ ᲑᲘᲚᲓᲘᲜᲒᲡ. ᲐᲡᲢᲔᲠᲝᲘᲓᲘ 2013 D348 ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲩᲐᲣᲕᲚᲘᲡ 5,6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ. ᲘᲡ 14,77 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲗ ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ.

ასტეროიდი 1994 PC1 დედამიწის სიახლოვეს 18 იანვარს გაივლის 0,013 ასტრონომიული ერთეულის დაშორებით, რაც NASA-ს დედამიწის მახლობლად მდებარე ობიექტების შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, ითვლება მოახლოებად. ის 19,56 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრაობს.

ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲘ ᲐᲣᲪᲠᲔᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲔᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲛᲐᲙᲠᲝᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲣᲠᲗᲣᲚᲔᲑᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲓᲒᲝ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ.

მაკრონმა აღნიშნა, რომ ძალით ვინმეს აცრას არ აპირებს, მაგრამ იმედოვნებს, რომ შესაბამის სტიმულს გაუჩენს აუცრელ ადამიანებს, როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტებზე მათ წვდომას მინიმუმამდე შეამცირებს.

„მე არ გავუშვებ მათ ცისკენ, ამიტომ უნდა ვუთხრათ, რომ 15 იანვრიდან ვერ წავლენ რესტორანში, ვერ დალევენ ყავას, ვერ წავლენ თეატრსა თუ კინოში“, — განაცხადა მაკრონმა. საფრანგეთში ვაქცინაციის დონე ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალია: მოზრდილი მოსახლეობის 90% უკვე ორჯერადად არის აცრილი. ბოლო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საფრანგეთში ვაქცინაციის დამადასტურებელ საბუთს ან კორონავირუსზე ტესტის უარყოფით პასუხს ითხოვდნენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲫᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲗᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0883; ᲔᲕᲠᲝ - 3.4913;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.1726;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1209; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2713;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8195;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4073.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3,	ᲓᲦᲔ	+13
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-8,	ᲓᲦᲔ	+11

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+18
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ	+14
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	-1,	ᲓᲦᲔ	+12

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge